

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: ხატია მარშანია

*სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება, როგორც
მოსახლეობის ჭარბვალიანობისგან დაცვის უზრუნველყოფა*

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი ლევან დუნდუა

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია მარშანია

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება, როგორც მოსახლეობის ჭარბვალიანობისგან დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხი დღესდღეობით აქტუალურია და ცივილიზებული საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი.

ნაშრომი შედგება სამი თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში ფულადი ვალდებულების ზოგად მიმოხილვაში, განხილულია ფულადი ვალდებულების ცნება და ფულადი ვალდებულების შესრულების ძირითადი ასპექტები. ნაშრომის მეორე თავში განხილულია სესხის ხელშეკრულების ცნება, ფორმა და სამართლებრივი თავისებურებანი. ნაშრომის მესამე თავში სესხის ხელშეკრულების არსებულ მოწესრიგებაში გავანალიზეთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა სესხის ხელშეკრულება, როგორც ჭარბვალიანობის გამომწვევი მიზეზი საქართველოში და მისი არსებული მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

ნაშრომში განვიხილეთ ახალი საბანკო რეგულაციები ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით, რატომ გახდა საჭირო ასეთი რეგულაციების მიღება და როგორ ხდება მისი გატარება საფინანსო სექტორში, განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთე სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მხარდაჭერაზე, რადგან ამ საკითხის მოგვარება სახელმწიფოს აქტიური თანადგომის გარეშე შეუძლებელია. ადრეა იმაზე საუბარი თუ რა როლი ითამაშა ახალმა რეგულაციებმა მოსახლეობის ყოველდღიურობაში, თუმცა უკვე იკვეთება რეფორმის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები, რაზეც ეროვნული ბანკიც საუბრობს. საკითხის ახლებური მოწესრიგება მიზნად ისახავს საფინანსო სექტორის გაჯანსაღებასა და მეტი გადახდისუნარიანი სუბიექტის შექმნას.

Annotation

In my presentation paper, I am discussing the existing settlement of the loan agreement that considered to protect the population from over budget loans and liabilities. The issue is the most relevant and important subject for present civilized society.

The work is consists of three chapters and conclusions. In the first chapter, in general review of the monetary liability, the concept of monetary liability and basic aspects of monetary liability are discussed. The second chapter of the work examines the concept, form and legal peculiarities of the loan agreement. In the third chapter of the work, I analyzed the existing settlement of the loan agreement, which are causing the debtors get into the over budget payments and liabilities and the existing regulation on the basis of the Civil Code of Georgia.

In the presentation , I discussed new bank regulations regarding the loans, why was it necessary to get such regulations and how was it implemented in the financial sector, my focus is how the government is supporting the issue. It is too early to say the role of the new regulations on the daily routine of the population, the reforms has its positive and negative aspect as of mentioned by National Bank of Georgia as well. The new regulations are aimed to improving the financial sector and creating more effective way of settlement for public.

შინაარსი

განმარტებანი	6
შესავალი.....	8
თავი 1 ფულადი ვალდებულების ზოგადი მიმოხილვა	
1.1 ფულადი ვალდებულების ცნება.....	12
1.2 ფულადი ვალდებულების შესრულების ძირითადი ასპექტები.....	15
თავი 2 სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ჩარჩო	
2.1 სესხის ხელშეკრულების ცნება.....	22
2.2 სესხის ხელშეკრულების ფორმა და სამართლებრივი თავისებურებანი.....	30
თავი 3 სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება	
3.1 სესხის ხელშეკრულება, როგორც ჭარბვალდებულების გამომწვევი მიზეზი საქართველოში.....	35
3.2 სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.....	43
3.3 საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები.....	46
3.4 საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში.....	49
სასამართლო პრაქტიკა.....	52
დასკვნა.....	58
გამოყენებული ლიტერატურა.....	62

განმარტებანი

- 1) რეფინანსირება - ვადაგასასვლელი ან შეცვლილი სასესხო პირობების მქონე ფასიანი ქაღალდების ნაცვლად ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
- 2) საფინანსო სექტორის წარმომადგენელი – კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, გადამზღვეველი კომპანია, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქტივების მმართველი კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, სადაზღვევო საბროკერო კომპანია, ანგარიშვალდებული საწარმო, ასევე ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი;
- 3) საფინანსო სექტორი - საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ერთობლიობა;
- 4) კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
- 5) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც არ არის კომერციული ბანკი და უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი;
- 6) რესტრუქტურისაცია - ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების, ჯარიმებისა და მათზე დარიცხული საურავების გაყინვა ან/და გადავადება (საქართველოს კანონი „საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურისაციის შესახებ“.
- 7) კრედიტი – დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და

ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული

ნებისმიერი ვალდებულება;

8) ფისკალური პოლიტიკა - ინფლაცია — ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ზრდა საბაზო მსყიდველობითუნარიანობის დონესთან შედარებით. ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც ფულის მსყიდველობითუნარიანობის კლება.

9) ტარგეტირება - [ინგლ. ტარგეტ _ მიზანი] _ ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება, რასაც თავის პოლიტიკაში იყენებენ ცენტრალური ბანკები

10) ლიკვიდური ღირებულება - ღირებულება რომელიც კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გასხვისებისას.

11) მიკროეკონომიკა - შეისწავლის ინდივიდუალურ მომხმარებელთა, ფირმათა და საწარმოთა ეკონომიკურ ქცევას (ინდ. მოთხოვნასა და მოწოდებას, და ა.შ.).

12) მაკროეკონომიკა - ეკონომიკური მეცნიერების განშტოებაა, რომელიც შეისწავლის ქვეყნის მთლიანი (ან მისი ნაწილის, დარგის) ეკონომიკის ფუნქციონირებას, ისეთ საერთო პროცესებს და მოვლენებს როგორებიცაა - ინფლაცია, უმუშევრობა, საბიუჯეტო დეფიციტი, ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო რეგულირება და ა.შ. მაკროეკონომიკა ოპერირებს ისეთი ცნებებით, როგორებიცაა - საერთო მოთხოვნა და მოხმარება, საერთო მოწოდება, იყენებს აგრეგირებულ მაჩვენებლებს. მიკროეკონომიკა, ამის საპირისპიროდ, შეისწავლის ინდივიდუალურ მომხმარებელთა, ფირმათა და საწარმოთა ეკონომიკურ ქცევას (ინდ. მოთხოვნასა და მოწოდებას, და ა.შ.).

13) პროცენტი – სავალო ვალდებულებებთან, მათ შორის: კრედიტებთან (სესხებთან), დეპოზიტებთან, ანაზრებთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელი, აგრეთვე დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო საკენსიო ფონდიდან მიღებული პროცენტი.

14) დედოლარიზაცია - ისეთი პოლიტიკის შექმნას ნიშნავს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დოლარი მცირედით შევასუსტოთ, ლარი კი გავაძლიეროთ.

15) დივერსიფიკაცია - სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტსა და სხვა აქტივებს შორის საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება.

შესავალი

საქართველოში მიმდინარე ბოლო დროინდელი მოვლენების გათვალისწინებით საკმაოდ აქტუალური და ჯერჯერობით ბევრისთვის უცნობი თემაა სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება, როგორც მოსახლეობის ჭარბვალიანობისგან დაცვის უზრუნველყოფა. ჭარბვალიანობა თავისთავად გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა ქვეყნების საფინანსო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების პერიოდული გადაწყვეტილებები მოწმობენ.

თემის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს პარლამენტისა და ეროვნული ბანკის მიერ სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმების მოწესრიგება სამართლიანობის პრინციპის დაცვით, მოვალის სამართლებრივი დაცვის დამატებითი მექანიზმების შექმნით, რადგან ჭარბვალიანობა ძალიან სერიოზული და მტკივნეული პრობლემაა, რომელიც გადაზრდილია ისეთ მასშტაბში, რომლის აღმოფხვრას სჭირდება სისტემური მიდგომა და ერთობლივი ძალისხმევა. სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ჭარბვალიანობის პრობლემა კომპლექსურად უნდა მოგვარდეს, აუცილებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ბერკეტები, არსებული ჭარბვალიანობის პრობლემა ვერ გადაიჭრება თუ სესხის გამცემი იურიდიული პირები არ მოექცევიან ერთიანი ზედამხედველობის ქვეშ. აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო დებულება „პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების ნდობა ქვეყანაში.“ ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება შეეზღუდა ისეთი სესხების გაცემა, რომლებიც შემოსავლების შემოწმების გარეშე გაიცემოდა. აღნიშნული საკითხის მოგვარება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. ნაშრომში განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მხარდაჭერის მცდელობაზე რაც შესაბამისი ორგანოების მიერ განხორციელებულ რეფორმებში მდგომარეობს.

ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილებება ემსახურება იმ აზრს, რომ ეს უკანასკნელი პოზიტიურ ჭრილში აისახოს ეკონომიკასა და მისი თითოეული ინდივიდის საქმიანობაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ახალმიღებული რეგულაციები საქართველოს მთავრობის მიერ ჭარბვალთანობის პრობლემის დაძლევის ინიციატივის გამოძახილია. აღმოსავლეთ ევროპის, ახლო და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ასევე სამხრეთ ამერიკის წარმატებული ეკონომიკის მესვეურებმა რეგულაციების გამკაცრების პრაქტიკას 2010 წლიდან მიმართეს. მათ დღევანდელ შედეგებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესება წლიდან წლამდე არ შეინიშნება.

ჩემი დაკვირვებით, მთავრობის ინიციატივები მოსახლეობის ფართო მასების სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმისკენ არის მიმართული, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. არსებობს აზრი იმის თაობაზე რომ მოქალაქეს, თავისი შემოსავლიდან გამომდინარე, საცალო დაკრედიტების პროდუქტებთან წვდომა ეზღუდება, ხაზს ვუსვამ - ეზღუდება და არა ეკრძალება. მთავარი იდეა მიმართულია იმისკენ, რომ მოქალაქის მიერ აკუმულირებული ყოველთვიური შემოსავალი საკმარისი იყოს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილებების დაფინანსებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალ რეგულაციებში ირიბად იგრძნობა ერთგვარი ბიძგის მომენტი, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო, საშეღავათო საკრედიტო და მთავრობის ეკონომიკური ბლოკის მიერ დამუშავების პროცესში არსებული ინიციატივებით მოქალაქეს ფიქსირებული შემოსავლის ნაცვლად მის სამეწარმეო საქმიანობით განპირობებული მყარი შემოსავალი გაუჩნდეს.

თემის მიზანია პასუხი გავცეთ კითხვებს: როგორ და რა ხერხებით იცავს სესხის ხელშეკრულების თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირება მოსახლეობას ჭარბვალთანობისგან, შეიძლება თუ არა მოსახლეობის დაცვა ამ კუთხით ისე, რომ არ გატარებულიყო საფინანსო სექტორში მნიშვნელოვანი და ძირეული რეფორმები, არსებობდა თუ არა ალტერნატიული საშუალებები დასახული მიზნის მისაღწევად შედარებით უფრო მსუბუქი ხერხების გამოყენებით, რატომ გახდა საჭირო ასეთი რეგულაციების მიღება და როგორ

ხდება მისი გატარება საფინანსო სექტორში. სესხის გაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის რეგულაციები უკვე ამოქმედდა. რეგულაციების მიხედვით, ფინანსურ ინსტიტუტებს კლიენტის გადახდისუნარიანობის, მისი შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური ანალიზის გარეშე, სესხის გაცემა ეკრძალებათ. რა გავლენა აქვს ამ ახალ რეგულაციებს ფინანსურ ინსტიტუტებზე, მიკროსაფინანსო და არასაბანკო ფინანსურ ორგანიზაციებზე.

ბოლო პერიოდში ხშირია მოქალაქეების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით, ჰიპოტეზა კი, რომელიც უნდა დამტკიცდეს ნაშრომში არის ის რომ, სესხის ხელშეკრულების თანამედროვე რეგულირება ჩვენი მოსახლეობის მიზნებს ემსახურება, რათა დაიცვას მოსახლეობა თავისი ერთადერთი ძირითადი შემოსავლისა და საცხოვრებელის დაკარგვისგან, რომელიც შეიძლება ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვეს. ასეთ დროს საფინანსო დაწესებულება სამართლიანად ახდენს საკუთარი მოთხვნის დაკმაყოფილებას, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს მოსახლეობის გაღარიბებას იწვევს.

კვლევის მეთოდები ვინაიდან, საკითხი არის ახალი და ნაკლებად შესწავლელი, ამიტომ მივმართავ აღწერითი დაკვირვების მეთოდს. პირველად წყაროდ გამოყენებული იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თავი IX - სესხი, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები ჭარბვალიანობაზე; საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იქნება სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, კერძოდ თუ რას გვიჩვენებს ისინი დასახული მიზნის მისაღწევად. საინტერესოა, ასევე მოსახლეობის მხრიდან როგორი რეზონანსი მოჰყვა და რამდენად შემცირდა სესხის გაცემა იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც სესხის უზრუნველსაყოფად ერთადერთ სახლს დებდნენ და მათი შემოსავლის 60-75% სესხის დაფარვას ხმარდებოდა.

გარდა ამისა, განვიხილავ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც უფრო ნათლად დაგვანახებს, ახალი რეგულაციების შესაბამისობას დასახულ მიზანთან მიმართებაში.

აგრეთვე მაგალითად მოვიყვან ფინანსური ინსტიტუტების მონაცემებს რეგულაციებამდე გაცემულ საკრედიტო მონაცემებს და რეგულაციების მიღების შემდეგ გაცემულ საკრედიტო მონაცემებს, რომლებიც წარმოაჩენს იმ პრობლემატურ მხარეებს რომლებიც სამომავლოდ დასახვეწი და გასათვალისწინებელი იქნება.

ვიმედოვნებ ნაშრომში მაქსიმალურად გასაგებად ჩამოვყალიბებ იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც სახელმწიფოს აქვს ჩაფიქრებული სასესხო-საკრედიტო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ასევე მოსახლეობის ჭარბვალიანობის რისკის შემცირების მიზნით, რაც ჩემი აზრით მართლაც შეამსუბუქებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას.

თავი 1 ფულადი ვალდებულების ზოგადი მიმოხილვა

1.1 ფულადი ვალდებულების ცნება

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის გადახდა.¹ ეს ვალდებულება არ წარმოადგენს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულებას, რადგან ეს უკანასკნელი არის ნივთის გადაცემის ვალდებულების ქვესახეობა.²

ფული სამოქალაქო ბრუნვაში გაცვლის საყოველთაო საშუალებაა. სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე თითოეულ სუბიექტს შეუძლია ფულის გადახდის სანაცვლოდ მიიღოს რამე ქონებრივი სიკეთე, რომელსაც ურთიერთობის სხვა სუბიექტი გადასცემს მის მიერ გადახდილი ფულის სანაცვლოდ. საყოველთაო გაცვლის საშუალების ფუნქცია ფულს ენიჭება მისდამი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობის გამო, რამეთუ თითოეული სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე დარწმუნებულია, რომ მოცემული ფულადი ნიშანი დაუბრკოლებლად მიიღება მეორე პირის მიერ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ, რომ ფულადი ნიშანი მას ანიჭებს მატერიალური სიკეთის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. ე. ი. ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობა დამყარებულია მისდამი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობაზე.³

ფულადი ვალდებულება ისეთი ვალდებულებაა, რომლის საგანს წარმოადგენს ფულადი თანხა. აქედან გამომდინარე, ნორმა აწესრიგებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც ფულის გადახდას ეხება. ფულადი ვალდებულების დროს ვალდებულება შეიძლება ეხებოდეს ფულადი ერთეულის გარკვეულ ოდენობას, რა დროსაც გადამწვეტი მნიშვნელობა ფულის მსყიდველობაუნარიანობას აქვს.

ნორმის მოქმედების ფარგლებია ფულადი ვალდებულების ტრადიციული დეფინიცია გარკვეული ოდენობის ფულის გადახდის თაობაზე ვალს გულისხმობს, თუმცა, ის, ფართო გაგებით, ყველა იმ ტრანზაქციას მოიცავს, რომელშიც ვალუტა გამოიყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 383-ე

¹ Weller, Schuldrecht AT, chept. 9, p. 132. 2012

² Palandr, Bürgerliches Gesetzbuch, p. 256. 2018.

³ ძლიერიშვილი ზ, ვალდებულებითი სამართალი, თავი 5, ფულადი ვალდებულების არსი, გვ.248. თბილისი, მერიდიანი, 2009 წ.

მუხლში საუბარია იმაზე, რომ ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში, თუმცა მხარეებს შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ დაადგინონ სხვა ვალუტაც.

ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის შემხვედრი ვალდებულება ფულადია. მთავარია, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების საგანი მსყიდველობა უნარიანობის მქონე ფულადი ერთეულის გარკვეული ოდენობა იყოს. აღნიშნულ კონტექსტში, ფულად ვალდებულებას არ წარმოადგენს ფულის კონკრეტული ბანკნოტი ან მონეტა. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების საგნად ჩვეულებრივი მოძრავი ნივთი განიხილება.

ფულად ვალდებულებებს არ მიეკუთვნება ასევე ვალუტის გაცვლითი ურთიერთობები, რა დროსაც ვალუტა ასრულებს არა ფულის ფუნქციას, არამედ გამოდის, როგორც „ნივთი.“ ასეთ გარიგებებს „სავალუტო გარიგებები“ ეწოდება. ისინი მიმართულია, ფულადი ნიშნების მიწოდებისაკენ. სავალუტო გარიგებების მიმართ გამოიყენება არა ფულადი ვალდებულებების მიმართ დადგენილი სპეციალური სამართლებრივი ნორმები, არამედ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების ნასყიდობის მომწესრიგებელი რეგულაციები. ამიტომაც, ასეთი გარიგებების მიმართ შესრულების შეუძლებლობის საკითხი, რეგულირდება იმ ნორმებით, რომლებიც გამოიყენება ისეთი გარიგებების მიმართ, რომელთა საგანი გვაროვნული ნივთებია.⁴

ვალდებულების შესრულების საგანი მხოლოდ ფულადი ვალდებულება ნარდობის ხელშეკრულებასა (629) და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაშია (867). თუმცა, არც სესხისა და არც საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ყოველთვის ფულად ვალდებულებაზე არ არის ორიენტირებული. სესხის ხელშეკრულების საგანს გარდა ფულისა, შეიძლება წარმოადგენდეს სხვა გვაროვნული ნივთი,⁵ ისევე როგორც საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს კომერციული კრედიტი, რომელიც სასაქონლო ფორმითაა გამოხატული.⁶ ვინაიდან 383-ე მუხლი ფულადი ვალდებულების შესრულების წესზე საუბრობს, ამიტომ, მითითებული ნორმა მოქმედებს მაშინაც, როდესაც ვალდებულების

⁴ ძლიერიშვილი ზ, ვალდებულების შესრულება, 2009, გვ. 105

⁵ ჭანტურია ლ, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, მუხ. 623, გვ. 275. თბილისი, 2001 წ.

⁶ ჭანტურია ლ, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, მუხ. 867, გვ. 195. თბილისი, 2001 წ.

შესრულების საგანი ფულადი ვალდებულებაა, თუმცა, აღნიშნული ვალდებულება ორმხრივი ხელშეკრულების ერთ-ერთ, როგორც წესი, შემხვედრ, საპასუხო ვალდებულებას წარმოადგენს. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ნარდობის ხელშეკრულებაში და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, 383-ე მუხლის დანაწესი მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების მიმართ გამოიყენება და არა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ისეთი ვალდებულებების მიმართ, რომელიც ფულად ვალდებულებას არ ეხება, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის გადაცემა, ნარდობის ხელშეკრულებაში ნაკეთობის დამზადება და ა. შ.

ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეები უფლებამოსილნი არიან ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქართული ლარია. ლარი შედგება 100 „თეთრისაგან“. ის არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა. ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ან რეალიზებული ლარის ბანკნოტები და მონეტები არის ეროვნული ბანკის უპირობო ვალდებულება ნომინალური ღირებულებით, გარდა იმ ბანკნოტებისა და მონეტებისა, რომლებიც ამოღებულია მიმოქცევიდან ან განეკუთვნება ნუმისმატიკურ ფასეულობას.⁷

საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების გამოშვების უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია. აგრეთვე, ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაამზადოს მიმოქცევის ან სხვა მიზნით, სამახსოვრო ფულის ნიშნები. ეროვნული ბანკის საბჭო ამტკიცებს და განსაზღვრავს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, შემადგენლობას და სხვა მახასიათებლებს, რის შემდეგაც იწყება ფულის ნიშნების ბეჭდვისა და მოჭრის

⁷ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, 24/09/2009, სსმ, 29, 12/10/2009.

პროცესი. ქართული ფულის ნიშნები წამყვან ევროპულ ორგანიზაციებში მზადდება. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს უკვე დამზადებული ფულის ნიშნების ტრანსპორტირებასა და ეროვნული ბანკის საცავში მათ შენახვას, ხოლო მოსახლეობას ფულის ნიშნები კომერციული ბანკების მეშვეობით მიეწოდება.

ვალუტა წარმოადგენს ქვეყნის ფულად ერთეულს, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისიტემას. საქართველოში ასეთ ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოური ვალუტა საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნებია, როგორცაა, „დოლარი“, „მარკა“, „ევრო“, „ფრანკი“ და ა. შ. მას საქართველოში მიმოქცევის საყოველთაო საშუალების ფუნქცია არ აქვს და არც საგადამხდელო საშუალებას წარმოადგენს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. უცხოურ ვალუტაში ფულადი ვალდებულების დადგენა დაუშვებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას კრძალავს აღნიშნული კანონი.⁸

1.2 ფულადი ვალდებულების შესრულების ძირითადი ასპექტები

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის საგანს წარმოადგენს ფულადი თანხა, შესაბამისად, ნორმა აწესრიგებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც ფულის გადახდას ეხება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლში, კანონმდებელი გულისხმობს, იმას რომ ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში, თუმცა, მხარეები ამავდროულად უფლებამოსილნი არიან აღნიშნული ვალდებულება უცხოურ ვალუტაშიც დაადგინონ. ზემოთ თქმული შეიძლება გავრცელდეს ყველა სახის ფულად ვალდებულებაზე, მიუხედავად იმისა,

⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, განმარტებანი. თბილისი, 2009 წ.

ვალდებულების შესრულების საგანი მხოლოდ ფულადი ვალდებულებაა, თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის შემხვედრი ვალდებულება. მთავარია, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების საგანი მსყიდველობაუნარიანობის მქონე ფულადი ერთეულის გარკვეული ოდენობა იყოს.

ფულადი ვალდებულების შესრულების დრო, თუ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრულია, ფულადი ვალდებულება დათქმულ დროს უნდა შესრულდეს. ფულადი ვალდებულების დათქმულ დროს შესრულების მიზნებისათვის აუცილებელია, დადგინდეს შესრულების ადგილი, რათა მოვალე შესრულების ვადის გადამცილებლად არ იქნეს მიჩნეული. ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულების შემთხვევაში, თანხა დათქმულ დროს, კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა იქნეს მიტანილი („მიტანის ვალდებულება“). თუ ფულადი ვალდებულება „უნაღდო ანგარიშსწორების“ წესით უნდა განხორციელდეს, ასეთ შემთხვევაში, თანხა, დათქმულდ დროს, კრედიტორის ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს. თუ, მხარეთა შეთანხმებით, ფულადი ვალდებულების შესრულება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა მოხდეს, მოვალე დათქმულ დროს ვალდებულების შესრულებისათვის მზად უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, მას კრედიტორისათვის ფულადი თანხის გაგზავნის ან მიტანის ვალდებულება არ წარმოეშობა, ხოლო კრედიტორი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადამცილებლად მიიჩნევა (390). თუ მხარეთა შეთანხმებით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა დადგენილი არ არის და იგი არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში, მოვალემ ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა შეასრულოს, ხოლო მოვალე უფლებამოსილია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს⁹.

ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება განიხილება შემდეგნაირად: ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილება მოვალისათვის საფრთხის შემცველია, ვინაიდან, ფულის მაღალი ბრუნვა უნარიანობის გამო, ვალდებულების დარღვევით მიყენებული

⁹ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხ., 364, თბილისი, 1997 წ.

ზიანი მტკიცებას არ საჭიროებს და იგულისხმება, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დაყოვნება კრედიტორისათვის ყოველთვის ზიანის მომტანია. კრედიტორი ვადაგადაცილებით მინიმუმ იმ მიუღებელ შემოსავალს კარგავს, რასაც იგი ფულადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიიღებდა.

სასამართლო პრაქტიკით, აღნიშნული ე.წ. „მინიმალური ზიანი“ საანაბრე პროცენტია, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს და რომლის ოდენობა წლიურად, საშუალოდ, 6-7 % შეადგენს. თუ კრედიტორს ვადაგადაცილებით იმაზე მეტი ზიანი მიადგა, ვიდრე საანაბრე პროცენტია, მაგალითად, კრედიტორი მეწარმე სუბიექტია და დაკარგა მოგება, რასაც აღნიშნული თანხის სამეწარმეო მიზნებისათვის ბრუნვის შედეგად მიიღებდა, ასეთ შემთხვევაში, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შედეგად კრედიტორისათვის ზიანის მიყენების ფაქტი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს.

ფულის მაღალი ბრუნვაუნარიანობით არის განპირობებული ის გარემოებაც, რომ მოვალეს, როგორც წესი, ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების უფლება არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, მოვალის უფლებას, ვადაზე ადრე შეასრულოს ვალდებულება, უპირისპირდება კრედიტორის პატივსადაც ინტერესი, არ მიიღოს ვადაზე ადრე შესრულება (364). მაგალითად, პროცენტის სესხის ვადამდე დაბრუნება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კრედიტორი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებას ეთანხმება (626 II). იგივე წესი ვრცელდება კრედიტის ვადაზე ადრე დაბრუნების შემთხვევაზეც, კერძოდ, თუ კრედიტის ამდები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება (872). შეგვიძლია განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც მევალე განზრახ უშლის ხელს ვალის დროზე ადრე დაბრუნებას მოვალისგან, მაგალითად, როდესაც მევალეს აქვს სხვა

ფინანსური ვალდებულება ერთ-ერთ საფინანსო დაწესებულებაში და მოვალისგან მიღებული ყოველთვიური საპროცენტო შემოსავლით, ახდენს საკუთარი ვალდებულების დაფარვას.

კრედიტის მიძღვრულ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ზიანის სახით საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ იმ პერიოდამდე ეკისრება, რა დროის განმავლობაშიც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგანაც კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა, თავიდან გასცეს კრედიტი, ან სხვა საშუალებით მიიღოს მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თანხის კრედიტორისათვის დაბრუნების მომენტად შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება ჩაითვლება და არა გადაწყვეტილების გამოტანის ან ხელშეკრულების მოშლის თარიღი, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება, გადაწყვეტილების ფაქტობრივად აღსრულების და არა აღსასრულებლად მიქცევის მომენტი. ამდენად, ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა მოვალეს უსასყიდლოდ აქვს მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება კრედიტორის ინტერესებს არღვევს და შესაბამისად, დაუშვებელია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ვალდებულება მაინც ვადაზე ადრე შესრულდება, კრედიტორს მოვალის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოეშობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებას კრედიტორი დაეთანხმა.¹⁰

ზემოთ აღნიშნული გარემოებები, უფრო მეტად იცავს გამსესხებლის ინტერესებს, ვინაიდან, იგი უფრო დიდი რისკის ქვეშ იმყოფება, ვიდრე მსესხებელი. კრედიტორი საკუთარ მატერიალურ სიკეთეს დროებით სარგებლობაში გადასცემს მოვალეს, იმ პირობითა და მოლოდინით, რომ დაიბრუნებს არა მხოლოდ ძირ თანხას, არამედ მასთან ერთად დამატებულ სარგებელს, რომელიც იმ დროის

¹⁰ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 364, გვ. 283, თბილისი, 2001 წ.

კომპენსირებას მოახდენს, რა დროის განმავლობაშიც კონკრეტული რაოდენობის თანხა არ იმყოფებოდა გამსესხებლის საკუთრებაში.

ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი (სარგებელი) ეკისრება მოვალეს როგორც ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ვადაგადაცილებისათვის (625), ასევე ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან ან ვადაზე ადრე შეწყვეტიდან თანხის სრულად დაბრუნებამდე (403, 411). მართალია, ორივე შემთხვევაში ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დაკისრების სამართლებრივი შედეგი იდენტურია, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ვადაგადაცილებისათვის პროცენტი ის სარგებელია, რასაც 625-ე მუხლი ითვალისწინებს, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდეგ – დაკისრებული პროცენტი 411-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავალია. სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად არეგულირებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, 403-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი გადაცილებული დროისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ პროცენტთან დაკავშირებით, გულისხმობს არა იმ პროცენტს, რომელზეც მხარეები ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმდნენ, არამედ სპეციალურად ვადაგადაცილებისათვის შეთანხმებულ პროცენტს, შესაბამისად, ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მოვალეს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტი არ ეკისრება. ამდენად, საკასაციო პალატის განმარტებითა და შესაბამისად, დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკით ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას მოვალისათვის პროცენტის დაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მხარეები პროცენტის გადახდაზე ვადაგადაცილების პერიოდისათვისაც შეთანხმდებიან.¹¹

¹¹ ახვლედიანი ზ, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი., 1999 წ.

ნორმის მითითებული ინტერპრეტაციის მიხედვით, ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ვადაგადაცილებულ პერიოდზე არ ვრცელდება. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი (ფიზიკური პირი) დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ვადაგადაცილებული პერიოდისათვის მიუღებელ შემოსავალს საერთოდ ვერ მიიღებს. ნებისმიერი პირი, იქნება ეს ფიზიკური, თუ საკრედიტო დაწესებულება, საკუთარი ფულის სხვისთვის სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნული თანხის სრულად დაბრუნებამდე, უფლებამოსილია, მოითხოვოს ე.წ. „დაკარგული პროცენტი“, მიუღებელი შემოსავლის სახით. ზემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიუღებელი შემოსავალი ფიზიკური პირი კრედიტორებისათვის საანაბრე პროცენტია (წლიური 6- 7%), ანუ რასაც ფიზიკური პირი მიიღებდა, ფულადი თანხა, ნაცვლად მოვალისათვის გადაცემისა, საბანკო ანაბარზე რომ განეთავსებინა, ხოლო საკრედიტო დაწესებულებისათვის საკრედიტო ხელშეკრულების ვადის მოქმედების ფარგლებში მოვალესთან შეთანხმებული პროცენტი.¹²

თუ მხარეთა შეთანხმებით, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ მომდინარეობს, ფულადი ვალდებულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს (386), რაც გულისხმობს იმას, რომ ფულადი ვალდებულება, თავისი არსით, ე.წ. „მიტანის ვალდებულებას“ წარმოადგენს. შესაბამისად, კრედიტორისათვის თანხის გადაცემამდე ფულის დაკარგვის, განადგურების და ა. შ. რისკი მოვალეს ეკისრება. თუ ფულადი ვალდებულება ე.წ. „ნეიტრალურ“ ადგილას უნდა შესრულდეს, ანუ ისეთ ადგილას, რომელიც არც კრედიტორისა და არც მოვალის ადგილსამყოფელს არ წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში, ფულადი თანხის „ნეიტრალურ“ ადგილამდე მიტანის რისკი მოვალეს ეკისრება, ხოლო ნეიტრალურ ადგილას კრედიტორისათვის თანხის გადაცემის რისკი კრედიტორზე გადადის. მაგალითად: კრედიტორმა მოვალეს დაუთქვა თანხის გადაცემის ადგილად საკუთარი

¹² ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001 წ.

საცხოვრებელი ბინა და მაშინ როდესაც მოვალეს მიჰქონდა თანხა და დაკარგა იგი, ან ტრანსპორტში დარჩა, პასუხისმგებლობა ეკისრება მოვალეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ფულადი ვალდებულება ნეიტრალურ ტერიტორიაზე სრულდება, მაგალითად რომელიმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას და მოვალემ დაკარგა ან დარჩა თანხა, რომლის დაბრუნებასაც ვეღარ მოახერხებს, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება კრედიტორს და არა მოვალეს.

როდესაც საუბარია ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულებაზე, იგულისხმება ე.წ. „ნაღდი ანგარიშსწორება“, ანუ თანხის ხელზე გადაცემა და არა საბანკო გადარიცხვა, ანუ „უნაღლო ანგარიშსწორება“. „უნაღლო ანგარიშსწორება“ დაიშვება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით. თუკი კრედიტორს რამდენიმე ადგილზე აქვს გახსნილი საბანკო ანგარიში, მოვალემ შესრულება უნდა მოახდინოს იმ ანგარიშზე, რომელსაც კრედიტორი მიუთითებს. თუკი კრედიტორისათვის სულერთია, რომელ ანგარიშზე ჩაირიცხება ფული, მაშინ ნებისმიერ მათგანზე ჩარიცხვა უნდა ჩაითვალოს ფულადი ვალდებულების შესრულებად. „უნაღლო ანგარიშსწორებისას“ კრედიტორის თანხმობის აუცილებლობას განაპირობებს ის რისკი, რომელიც უნაღლო ანგარიშსწორებას სდევს თან. კერძოდ, როდესაც საუბარია „უნაღლო ანგარიშსწორებაზე“, ანუ თანხის კონკრეტულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვაზე, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა ე.წ. „გაგზავნის“ ვალდებულება, რა დროსაც, მოვალის პასუხისმგებლობა თანხის გადაცემის რისკთან დაკავშირებით გამგზავნისათვის გადაცემით შემოიფარგლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოვალე თანხას კრედიტორის ანგარიშზე კრედიტორის თანხმობის გარეშე ჩარიცხავს, ასეთ შემთხვევაში, მიტანის ვალდებულება შენარჩუნებულია და შესაბამისად, თანხის გაგზავნის რისკებისათვის მოვალეა პასუხისმგებელი.

თავი 2 სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ჩარჩო

2.1 სესხის ხელშეკრულების ცნება

სესხის ხელშეკრულების ცნება განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით. ეს ნორმა გულისხმობს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელს გააჩნია მოვალეობა დააბრუნოს იმავე სახის და რაოდენობის ნივთი. ამ ხელშეკრულებით, შესაძლებელია მსესხებელს გადაეცეს ყველა გვაროვნული ნივთი, რომელიც არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან.

როგორც უკვე აღვნიშნე სესხის ხელშეკრულებას აქვს თავისი ფორმა, რომელიც გამსესხებელს უფლებას აძლევს მსესხებელს საკუთრებაში გადასცეს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი, ხოლო მსესხებელი ვალდებულია კრედიტორს დაუბრუნოს იგივე სახის და რაოდენობის ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლში განსაზღვრული ნორმა ცალმხრივი ხელშეკრულების სახეს წარმოადგენს, რომელის ფარგლებშიც გამსესხებელი გადასცემს სესხის საგანს მსესხებელს რის საფუძველზეც მას წარმოეშობა სესხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, შესაბამისად გამსესხებელს მსესხებლის წინაშე ვალდებულება არ გააჩნია რასაც ვერ ვიტყვით მსესხებელზე, ვინაიდან ამ უკანასკნელს სესხის დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა, გარდა ამისა მსესხებელს არ უჩნდება რაიმეს მოთხოვნის უფლება. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.“¹³

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასესხო ურთიერთობები საქართველოს

¹³ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 623, თბილისი, 1997 წ.

სამოქალაქო კოდექსის ორ თავში არის მოწესრიგებული. სამოქალაქო კოდექსის მეცხრე თავი ეძღვნება სესხს, ხოლო ოცდამეერთე თავში საუბარია საბანკო კრედიტზე და ანაბარზე. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელ ზოგად ნორმებზე, რომელიც ამავდროულად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკულად ყველა სახის სასესხო ურთიერთობათა მიმართ, მიუხედავად მასში მონაწილე სუბიექტებისა.¹⁴

კანონმდებელი სესხის ხელშეკრულებას მიიჩნევს ცალმხრივ, რეალური ხასიათის ხელშეკრულებად, ვინაიდან, მისი მონაწილეებიდან, მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედებების შესრულებას, სესხად მიღებული ფულის ან გვაროვნული ნივთის უკან დაბრუნებას, მეორე მხარე კი უფლებამოსილია მსესხებლისაგან მოითხოვოს ნასესხები თანხის ან ნივთის დაბრუნება. სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გამსესხებელი გადასცემს სესხის საგანს მსესხებელს და მას წარმოემოხება სესხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, ისე რომ მას მსესხებლის წინაშე ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო მსესხებელს წარმოემოხება ვალდებულება დააბრუნოს სესხი, ამასთან მას არ წარმოემოხება რაიმეს მოთხოვნის უფლება. მაგ: A-მ ასესხა B-ს 5.000 ლარი, რომელიც ამ უკანასკნელს უნდა დაებრუნებინა 2010 წლის 10 მაისამდე. მოცემულ შემთხვევაში, A-ს გააჩნია მოთხოვნის უფლება B-ს მიმართ, ხოლო B-ს გააჩნია ვალდებულება დააბრუნოს სესხი. ის გარემოება, რომ გამსესხებელს მხოლოდ მოთხოვნის უფლება აქვს ხოლო მსესხებელს მხოლოდ სესხის დაბრუნების ვალდებულება, განაპირობებს სესხის ხელშეკრულების ცალმხრიობას.

განსხვავებულადაა საქმე ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში. ორმხრივი ხელშეკრულების დროს, ხელშეკრულების ორივე მხარეს გააჩნია, როგორც მოთხოვნის უფლება, ისე ვალდებულება. მაგ: ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მყიდველს აქვს, როგორც ნასყიდობის საგნის მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება, ასევე ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება, ხოლო გამყიდველს გააჩნია ნასყიდობის საგნის გადაცემის

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი, 2009 წ. გვ. 228.

ვალდებულება და ნასყიდობის საფასურის მოთხოვნის უფლება.

სესხის ხელშეკრულება განეკუთვნება რეალურ გარიგებათა რიცხვს, რადგან სესხის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს (სესხის სახით) ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს (ხელშეკრულების საგანს). მხოლოდ შეთანხმება სესხის თაობაზე არ ნიშნავს რომ ხელშეკრულება უკვე დაიდო, შეთანხმებასთან ერთად აუცილებელია მოხდეს ხელშეკრულების საგნის გადაცემაც, ვინაიდან სესხის ხელშეკრულება არ იქნება დადებული, თუ საამისოდ არ არის გამოვლენილი გამსესხებელის შესაბამისი ნება და მოქმედება.¹⁵

მსესხებელს შეუძლია ნასესხები ქონება განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ და მის გამცემს (გამსესხებელს) უფლება არა აქვს უკან გამოითხოვოს იგი. სესხის გაცემისას მსესხებელი ხდება ნასესხები ფულის ან ნივთის მესაკუთრე.

სესხის ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებაში კანონმდებელი განამტკიცებს ფორმის თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. პრაქტიკაში საკმაოდ ბევრია შემთხვევები, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით. ამ შემთხვევებში სასამართლო საქმის წარმოებისას საკმაოდ რთულია ხელშეკრულების არსებობა არარსებობის დადგენა. იმისათვის, რომ დაცული იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი, კანონმდებელი განსაზღვრავს და ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. იმ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსში რომ არ ყოფილიყო შემოაღნიშნული სამართლის ნორმა, შესაძლებელი იქნებოდა, მრავალი არაკეთილსინდისიერი პირის მიერ ზეპირი ხელშეკრულების არსებობის იმიტირება, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოყვანილ იქნებოდა რამდენიმე პირი, რომელიც “დაადასტურებდა” სესხის ხელშეკრულების არსებობას, იმ დროს, როდესაც ასეთი

¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე (ვლ. ჭანტურია, რედ.) თბილისი, 2009 წ. გვ. 228.

ხელშეკრულების დადება ბუნებაში საერთოდ არ მომხდარა. ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ ხშირია სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება, რაც დიდ წილად ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარეობს. ადამიანებს ხშირად არასწორად მიაჩნიათ ახლობლებსა ან მეგობრებთან სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვა, ან სავალო ხელწერილის ჩამორთმევა რადგან ფიქრობენ ეს მათ ურთიერთობაში უნდობლობაზე მიუთითებს. საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრად გაამარტივებდა სასამართლო დავების დროს სესხის ხელშეკრულების არსებობის დადგენას. სწორედ არაკეთილსინდისიერი მსესხებლებისგან გამსესხებელთა უფლებების დაცვისთვისაა დათქმა სამოქალაქო კოდექსში, რომ ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით¹⁶ იმ შემთხვევაში, დადებული ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების დროს, იმისათვის რომ დადგინდეს მისი არსებობა აუცილებელია მაგალითად ე.წ. სავალო ხელწერილის, ან სხვა წერილობითი დოკუმენტის არსებობა, რომელის ძალითაც შესაძლებელია დადგინდეს მსესხებლის მიერ გამსესხებლის მიერ ვალდებულების არსებობა.

სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო. იმ შემთხვევაში თუ მხარეები მიიჩნევენ, რომ მათ შორის დადებული (დასადები) სესხის ხელშეკრულება სასყიდლიანია, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული სესხით სარგებლობისათვის გაითვალისწინონ სასესხო თანხის ოდენობა, ამასთან ერთად ასევე მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული განსაზღვრონ პროცენტის ოდენობა. სესხის ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს მხარეთა მიერ უფლება მოვალეობების ამოწურვას. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება თავის მხრივ ასევე დაკავშირებულია შესრულების ვადასთან თუ სესხის ხელშეკრულებით ვალის დაბრუნების ვადა პირდაპირ განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი უნდა დაბრუნდეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ამ დროს ხდება ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტა. ასეთი შემთხვევებისთვის

¹⁶ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 624, თბილისი, 2009 წ.

კანონმდებელი ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიან ვადას. იმ შემთხვევაში, თუ პროცენტების გადახდა არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული, მოვალეს (მსესხებელს) შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე. იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პროცენტის გადახდის ვალდებულება სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, ან გამსესხებლის თანხმობით (კანონმდებლის მიერ გამსესხებლის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე). სესხის ხელშეკრულების უმრავლესობაში (სადაც სესხით სარგებლობისათვის დადგენილია გარკვეული პროცენტი) პროცენტის გადახდა დაკავშირებულია დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლასთან. ხშირ შემთხვევაში ეს არის ყოველთვიური მონაკვეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი თვის გასვლისთანავე (სესხით სარგებლობის თვე) მსესხებელი გამსესხებელს უხდის სესხით სარგებლობისთვის დადგენილ შესაბამის პროცენტს. იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება არ ადგენს პროცენტის ყოველთვიური გადახდის წესს, ხოლო პროცენტი დაანგარიშებულია სესხით სარგებლობის ყოველი წლისათვის, მაშინ პროცენტ(ებ)ი გადახდილი უნდა იყოს ყოველი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო, თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ვადის დადგომისას.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლით გამსესხებელს უფლებას აძლევს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნებას სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას.

სესხის ხელშეკრულების საგანი, გარდა ფულისა, შეიძლება იყოს გვაროვნული ნივთებიც, ისეთი ნივთები, რომელთა გამოცვლა შესაძლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა დავიხმაროთ სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლის დანაწესი: „თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.“ აღნიშნული წესის გათვალისწინებით მსესხებელი უარს ვერ ეტყვის გამსესხებელს ნასესხები

ნივთის დაბრუნებაზე სანამ ამ ნივთის შოვნა არის შესაძლებელი. შედარებისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სესხის ხელშეკრულების საგანი არ არის ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, და როცა ასეთი ნივთის გადაცემა ხდება დროებითი სარგებლობისათვის, ეს იქნება უკვე თხოვების ხელშეკრულება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ შეუძლებელია სესხის ხელშეკრულების დადება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შესახებ. მაგ: შეუძლებელია ბინის გასესხება, ასევე შეუძლებელია ტელევიზორის გასესხება და ა.შ. მსესხებელი მისთვის გადაცემულ სესხის საგანზე საკუთრების უფლებას იღებს და შემდგომ იგი ვალდებულია დააბრუნოს მსგავსი ხარისხის, ოდენობისა და რაოდენობის ნივთი. მაგ: როცა თამარი ასესხებს 200 კილოგრამ ვაშლს ნიკას, ვაშლის გადაცემის მომენტიდან იგი ნიკას საკუთრება ხდება და ეს უკანასკნელი იგივე ვაშლს კი არ უბრუნებს თამარს, არამედ ვაშლის გვაროვნული ბუნებიდან გამომდინარე ნიკამ უნდა დააბრუნოს მსგავსი ხარისხის და ოდენობის ვაშლი.

აუცილებელია არაფულადი სესხის დროს ხელშეკრულებაში ზუსტად გაიწეროს გასესხებული გვაროვნული ნივთის ხარისხი და ოდენობა. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი განსაზღვრული არ არის ამოქმედდება სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.“¹⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით: ხელშეკრულება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს ამ ხელშეკრულების შინაარსი, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.“ სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ სახეზეა შემდეგ საკითხებზე შეთანხმება: მხარეები– სესხის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება თუ ზუსტად არის განსაზღვრული თუ ვინ წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების

¹⁷ სსკ - მუხლი 308., თბილისი, 2009 წ.

მხარეებს. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 53-ე და 327-ე მუხლებიდან. სწორედ მხარეები განსაზღვრავენ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მიხედვით ხელშეკრულების ძირითად პირობებს. თუკი სესხის ხელშეკრულების მხარეები განსაზღვრულნი არ არიან ასეთ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულების არსებობაზეც კი ზედმეტია საუბარი.

სესხის საგანს როგორც უკვე აღინიშნა წარმოადგენს ფული ან გვაროვნული ნივთები, ბუნებრივია თუ არ იქნა განსაზღვრული, რა ასესხა გამსესხებელმა მსესხებელს, მაშინ ვერც იმის განსაზღვრა იქნება შესაძლებელი თუ რისი დაბრუნების ვალდებულება აქვს მსესხებელს, ამიტომაც სესხის საგნის განსაზღვრის გარეშე არ იარსებებს არც სესხის ხელშეკრულება.

აუცილებელია სესხის ხელშეკრულებაში ჩანდეს მხარეთა განზრახვა, რომ ისინი დებენ სესხის ხელშეკრულებას. შეიძლება სახეზე იყოს სესხის არსებობის ყველა სხვა პირობა, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენდეს სესხის ხელშეკრულების დადების საფუძველს.

მაგ: დაიდო ხელშეკრულება „ა“ და „ბ“-ს შორის, „ა“-მ გადასცა „ბ“-ს საკუთრებაში თანხა. ერთი შეხედვით ყველ პირობა გვაქვს სესხის ხელშეკრულების არსებობისათვის:

- ა) მხარეები განსაზღვრულნი არიან;
- ბ) განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი;
- გ) თანხა საკუთრებაში გადაეცემა ხელშეკრულების მეორე მხარეს.

მოცემულ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება დადებულად ვერ ჩაითვლება, თუ მხარეებმა მკაფიოდ არ დააფიქსირეს სესხის ხელშეკრულების დადების სურვილი, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები სხვა ხელშეკრულებებსაც ახასიათებს, მაგალითად ჩუქების ხელშეკრულებას, ამიტომაც სესხის ხელშეკრულების დადების განზრახვა უნდა ჩანდეს მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება დადებულად ვერ ჩაითვლება.

სესხის ხელშეკრულების რეალური ბუნება ვლინდება იმაში, რომ ეს ხელშეკრულება დადებულად ითვლება არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმების მომენტიდან, არამედ ფაქტობრივად სესხის საგნის მსესხებლისათვის გადაცემის

მომენტიდან. ამგვარად, სესხის ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულიად იმ მომენტამდე, სანამ მსესხებელს სესხის საგანი არ გადაეცემა საკუთრებაში.

სესხის საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემა შეიძლება მოხდეს სამი სახით:

1. სესხის საგნის გადაცემა პირდაპირ მფლობელობაში, ამ შემთხვევაში მსესხებელი ფაქტობრივად ეუფლება სესხის საგანს;

2. სესხის საგნის გადაცემა არაპირდაპირ მფლობელობაში, როცა ძველი მესაკუთრე რჩება ნივთის პირდაპირ მფლობელად - მაგ: სესხის საგანია 200 ტონა კარტოფილი, რომელსაც ფაქტობრივად კვლავ ძველი მესაკუთრე ფლობს, თუმცა მას აღარ გააჩნია სესხის საგანზე საკუთრების უფლება, რომელიც გადაცემული აქვს ახალ შემძენს და რომელიც წარმოადგენს სესხის საგნის არაპირდაპირ მფლობელს, საკუთრების უფლებიდან გამომდინარე;

3. გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება. მაგ: „A“-მ ასესხა „B“-ს 100 ტონა კარტოფილი, რომელიც მისი მეზობელი „C“-ს საწყობში ინახებოდა, „A“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „C“-ს სესხის საგანის მისთვის გადაცემა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სესხის ხელშეკრულება სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის ხელშეკრულებაა. სესხის ხელშეკრულებაში არსებითად მნიშვნელოვანია სესხის ხელშეკრულების ფორმის საკითხი. იმისათვის, რომ სესხის ხელშეკრულება ნამდვილად ჩაითვალოს აუცილებელია დაცული იქნეს კანონით განსაზღვრული ფორმა.

2.2 სესხის ხელშეკრულების ფორმა და სამართლებრივი თავისებურებანი

სტატისტიკური მონაცემები სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების შესახებ ცხადყოფს თუ რაოდენ აქტუალურია ეს საკითხი დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში.

საქართველოში ფულის სესხება პრობლემას არ წარმოადგენს, ამასთანავე მრავლად არიან ვალის აღების მსურველებიც, თუმცა ხშირ შემთხვევაში მოგების მიღების ნაცვლად გამსესხებლებს გასესხებული თანხა ეკარგებათ. ძირითად პრობლემას ჩვენს ქვეყანაში კანონმდებლობის უცოდინრობა წარმოადგენს, საკითხს კი განსაკუთრებით საზოგადოების მიერ, იმ ნორმების უგულებელყოფა ართულებს, რომელიც სესხის ხელშეკრულების ფორმას ეხება.

შესაბამისად, როდესაც საუბარია ასეთ მაღალ რისკებზე საინტერესოა გავარკვიოთ თუ როგორ ხდება სასესხო ურთიერთობების რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით და რა მოთხოვნები უნდა დავიცვათ სესხის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

სესხის ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ეს ხელშეკრულება არის ცალმხრივი და რეალური ხასიათის. ცალმხრივია იმდენად, რამდენადაც მისი მონაწილეებისაგან მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულებას. ესაა მსესხებლის მიერ სესხად მიღებული ფულის ან გვაროვნული ნივთის უკან დაბრუნება, მეორე მხარეს კი შესაბამისი უფლება გააჩნია მსესხებელისაგან მოითხოვოს ნასესხების უკან დაბრუნება, ამიტომ სესხის ხელშეკრულება დადებულიად ითვლება მხოლოდ

მაშინ, როცა გამსესხებელი ფულს ან გვაროვნულ ნივთს გადასცემს მსესხებელს.¹⁸

მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას. შეთანხმებასთან ერთად აუცილებელია მოხდეს სესხის საგნის გადაცემაც, სესხის ხელშეკრულების რეალური ბუნება სწორედ ამითაა განპირობებული.

სესხის ხელშეკრულებაში არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების ფორმის საკითხი. იმისათვის, რომ სესხის ხელშეკრულება ნამდვილად ჩაითვალოს აუცილებელია დაცული იყოს კანონით განსაზღვრული ფორმა.

სამოქალაქო კოდექსში ერთგვარ რისკს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების არსებული ფორმა, რომლის მიხედვითაც სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს ზეპირი და ასევე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში წერილობითიც. სწორედ ფორმის საკითხი იწვევს ხშირად გაუგებრობას, რაც შემდგომში სასამართლო დავებში გადადის. თითქოს მარტივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი პრობლემის განხილვისას, როდესაც გამსესხებელს მართლაც აქვს გაცემული სესხი და სასამართლო გზით მის უკან დაბრუნებას ითხოვს, მტკიცებულებებისა და წერილობითი დოკუმენტების არარსებობის გამო, სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების გამოტანა უჭირს. ამის მიზეზი კი სწორედ ისაა რომ კანონი უშვებს ვალის გაცემის არამხოლოდ წერილობით, არამედ ზეპირ ფორმასაც.

სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც, მაგრამ უშვებს ალტერნატივასაც. მხარეთა შეთანხმებით, სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს წერილობითი ფორმით. რეალურად სახეზე გვაქვს ფორმა თავისუფალი ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება ნდობის ხარისხზეა დამოკიდებული. კერძოდ, მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული სესხის ხელშეკრულება დადონ მარტივი წერილობითი ფორმით თუ დაამოწმონ სანოტარო წესით. ამ შემთხვევაში პრიორიტეტულია ის სამართლებრივ შედეგები

¹⁸ თამარ ზამბახიძე, სამეცნიერო სტატია, სესხის ხელშეკრულების ცნების შესახებ, თბილისი 2016 წელი, 26 ოქტომბერი.

რომელმაც შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას ორივე მხარეს. პრობლემის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად საკმარისი არ არის მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. ზეპირი ფორმით გაცემული სესხისას, გამსესხებელი ხშირად ვერ ასაბუთებს სესხის გაცემის ფაქტს, რის გამოც სასამართლოს პრობლემა ექმნება და ხშირად მოთხოვნაზე უარის თქმა უწევს. ანუ, თუკი გამსესხებელი ამბობს, რომ მან მეორე მხარესთან ზეპირი ფორმით გააფორმა სესხის ხელშეკრულება მას უწევს ამ ფაქტის მტკიცება, რაც ძირითად შემთხვევაში შეუძლებელი აღმოჩნდება ხოლმე.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად კი, მხოლოდ მოწმის ჩვენებას სასამართლო ვერ დაეყრდნობა. თუმცა აქვე საინტერესოა ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმის არსებობის ფარგლებშიც კი შესაძლებელია პრობლემის თავიდან აცილება, კერძოდ, როდესაც მხარეები, სიმარტივიდან გამომდინარე, მაინც ზეპირ ფორმას ირჩევენ, გამსესხებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ როდესაც თანხას გასცემს, მსესხებელს წერილობით დაადასტურებინოს თანხის მიღება. აღნიშნულთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში აღნიშნულია, რომ ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად, მოწმეთა ჩვენებები საკმარისი არ არის და აუცილებელია მსესხებლის სავალო ხელწერილი ან სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურდება მსესხებლისათვის განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ნივთის გადაცემის ფაქტი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი მხედველობაში მიიღება, თუმცა მხოლოდ ამგვარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ შეიძლება არა მარტო მსესხებლის მიერ სესხის მიუღებლობის ან არასრულად მიღების დადგენა, არამედ გამსესხებლის მიერ ამა თუ იმ პირისათვის სესხის გადაცემის ნამდვილობის განსაზღვრაც, ვინაიდან წერილობითი მტკიცებულებები წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის უტყუარ საფუძველს.

პრაქტიკაში კანონის ამ მოთხოვნას თითქმის არავინ ითვალისწინებს. რეალურად ამის მიზეზი არა მხოლოდ კანონმდებლობის უცოდინრობა, არამედ ხშირ შემთხვევაში მენტალური პრობლემაცაა. ადამიანები შეურაცხყოფად აღიქვამენ ხელწერილი ჩამოართვან პირს, რომელიც მათი მეგობარი, ახლობელი,

მეზობელი ან უბრალოდ კარგი ნაცნობია. საზოგადოების დიდი ნაწილი უბრალოდ ბრმად ენდობა მსესხებელს და მის კეთილსინდისიერებას, ხოლო როდესაც რეალური პრობლემის წინაშე აღმოჩნდება მას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. ეს ადამიანები ხშირად სამართალდამცავებსა და მოსამართლეებსაც კი ადანაშაულებენ იმის გამო, რომ ისინი რეალურად ვერ წყვეტენ პრობლემას გამსესხებლების სასარგებლოდ, უფრო მეტიც, შესაძლოა სასამართლო მიკერძოებულობაშიც დაადანაშაულონ. ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივმა ხელშეკრულებამ შესაძლოა დიდი პრობლემის წინაშე დაგვაყენოს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მოწმის ჩვენებისა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს სესხის ხელშეკრულების დამადასტურებელ ერთადერთ მტკიცებულებად, სიმართლის დასამტკიცებლად არ გამოგვადგება არც ვიდეო და აუდიო ჩანაწერები. მაშასადამე, პრობლემის თავიდან აცილების ერთადერთი სწორი გზაა, რომ დავივიწყოთ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მენტალური სტერეოტიპები და უკეთ გავეცნოთ კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას. მსგავსი პრობლემებისგან თავის არიდების საუკეთესო საშუალებას სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება წარმოადგენს.

წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, მხარეთა სურვილის შემთხვევაში შეიძლება დამოწმდეს ნოტარიალურად. თუმცა სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და ხელშეკრულების ნამდვილობათვის სრულებით საკმარისია მხარეთა ხელმოწერა. ამასთანავე კანონმდებელი გვთავაზობს პრობლემის თავიდან აცილების გამარტივებულ გზას. კერძოდ, მხარეებმა ხელწერილით დაადასტურონ თანხის გადაცემისა და მიღების ფაქტები. ამ შემთხვევაში თავიდან ავიცილებთ იმ გართულებებს, რამაც რეალურად შეიძლება არა მხოლოდ სამართლებრივი და ფინანსური, არამედ პირადი ხასითის (გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ურთიერთობის დაძაბვა) პრობლემებიც შეგვიქმნას.¹⁹

და ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ სესხის ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში სულ

¹⁹ Weller, *Schuldrecht AT*, chept. 9, 2012
Palandr, *Bürgerliches Gesetzbuch*

რამდენიმე ნორმითაა რეგულირებული, ძალზე დიდია ამ ხელშეკრულების როლი ყოველდღიურ (პრაქტიკულ) სამართლებრივ ურთიერთობებში. ის დაკავშირებულია მნიშვნელოვან სამართლებრივ რისკებთან და ხშირად ამ სფეროში, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხის უცოდინრობამ შესაძლოა მხარეები სავალალო შედეგებამდეც კი მიიყვანოს. ამდენად, აუცილებელია სესხის ხელშეკრულების ორივე მხარე, რომელიც კისრულობს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს, აცნობიერებდეს ხელშეკრულების შინაარსს, დაკისრებულ პასუხისმგებლობას, რისკებს და იცნობდეს იმ თავისებურებებსა და სპეციფიკას, რომლითაც სესხის ხელშეკრულება ხასიათდება.

თავი 3 სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება

3.1 სესხის ხელშეკრულება, როგორც ჭარბვალთანობის გამომწვევი მიზეზი საქართველოში

ჭარბვალთანობა ანუ კრედიტის ჭარბწარმოება თანამედროვე საკრედიტო სისტემის სახასიათო შტრიხია. მისი შედეგები ფართოდ არის წარმოდგენილი ლოკალურ, რეგიონულ თუ გლობალურ ეკონომიკაში. ჭარბვალთანობა მძიმე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების გამომწვევ მიზეზად გვეგლინება.

სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ჭარბვალთანობის პრობლემა კომპლექსურად უნდა მოგვარდეს, ხელისუფლებამ სხვადასხვა ბერკეტები უნდა გამოიყენოს. ქვეყანაში არსებული ჭარბვალთანობის პრობლემა ვერ გადაიჭრება თუ სესხის გაცემი იურიდიული პირები არ მოექცევიან ერთიანი ზედამხედველობის ქვეშ. აქვე უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ საკითხის მოგვარება სახელმწიფოს აქტიური თანადგომის გარეშე შეუძლებელია. ნაშრომში განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებ სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მხარდაჭერაზე.

ეროვნულმა ბანკმა მოამზადა ახალი დებულება ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ, რომლის მიზანია ჭარბვალთანობით გამოწვეული სისტემური და სოციალური რისკების შემცირება. როდესაც ფინანსური ინსტრუქტები მსესხებლის არასაკმარისი შემოსავლის ან არასახარბიელო საკრედიტო ისტორიის გამო უარს ეუბნებიან პირს სესხის გაცემაზე, ეს ადამიანები ეძებენ ალტერნატიული სესხების წყაროებს და ძირითად შემთხვევებში ახერხებენ კიდევ. ეს პირველ რიგში სტუდენტებს და ახალგაზრდობას ეხება. მართალია, ამ დავალიანებას საბოლოო ჯამში ოჯახის წევრები ფარავენ, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება. დიდწილად სწორედ ამის შედეგია, რომ წლიდან წლამდე იზრდება ლომბარდების და კერძო პირების, იგივე კერძო იპოთეკარების საკრედიტო პორტფელი. სხვადასხვა მონაცემებით, მარტო ლომბარდული სესხებით დავალიანება 600 ათასზე მეტ ადამიანს აქვს, ხოლო მოვალეთა რეესტრში არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების მოვალეთა წილი 70-80%-ს შეადგენს. ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ ჭარბვალთანობის პრობლემა თუ

კომპლექსურად არ გადაიჭრა, მისი მოგვარება ვერ მოხერხდება.²⁰

გარდა სტუდენტობისა, დადასტურებული შემოსავლის პრობლემა დღეს განსაკუთრებით დგას თვითდასაქმებულ პირებთან მიმართებაშიც. მეწარმე ფიზიკური პირების კატეგორია მოიცავს ერთის მხრივ რეგისტრირებულ პირებს, ინდემწარმეების სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირებს, რომლებიც დაკავებულნი არიან დამოუკიდებელი პრაქტიკით და თუ პირველი კატეგორიის მსესხებლებისათვის შემოსავლების დადასტურება ძნელად, მაგრამ მაინც ხდება, თვითდასაქმებულების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელ პირებად, მაგრამ რეალურად მიკრობიზნესის სეგმენტს მიეკუთვნებიან, შემოსავლების დადასტურება სერიოზულ სირთულეებთან და დროსთან არის დაკავშირებული. ამ კატეგორიაში გადიან: ტაქსის მძღოლები, რეპეტიტორები, ძიძები, სტილისტები და ა.შ. იმისათვის, რომ ბანკმა დაადგინოს მათი წმინდა შემოსავლები, მხოლოდ საკრედიტო ბიუროს მონაცემები არ არის საკმარისი. რაც შეეხება ფულადი გზავნილების მიმღებ პირებს, მათი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინება უნდა მოხდეს შედარებით მოკლევადიანი დაკრედიტებისას, არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების, მათ შორის განვადებების შემთხვევაში.

სესხის გაცემისას შემოსავლის დადასტურების სავალდებულო მოთხოვნაზე გადასვლა ქმნის გარკვეულ რისკებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფიზიკურმა პირებმა შეიძლება გადაინაცვლონ ლომბარდებში და კერძო მევახშეებთან. ახალი რეგულაციები ითვალისწინებს, რომ დებულება აუცილებლად უნდა ადგენდეს სესხის გაცემის კრიტერიუმებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნება არა მხოლოდ კომერციული ბანკებისათვის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, არამედ საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებისა და ზედამხედველობის ქვეშ უნდა მოექცეს სესხის გამცემი ყველა ორგანიზაცია, იქნება ეს ლომბარდები თუ ცალკეული პირები. მოთხოვნების გამკაცრება მხოლოდ კომერციული ბანკებისათვის, პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგულირებადი გახდება სესხის გამცემი ნებისმიერი პირის, მათ შორის ფიზიკური პირის საქმიანობა, როდესაც გაცემული სესხების რაოდენობა აღემატება

²⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილება.

20 ერთეულს. აქაც არსებობს ამ შეზღუდვებზე თავის არიდების რისკი, თუნდაც ამ ლიმიტის სხვადასხვა პირებზე გადანაწილებით. ამიტომ, ახალმა რეგულაციებმა ეს საკითხიც უნდა მოაწესრიგოს. შესაბამისად, სესხის გამცემი პირი ვალდებული იქნება ლიცენზირებულ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიაწოდოს დეტალური მონაცემები საკუთარი საკრედიტო პორტფელის შესახებ.

საქართველოში ბოლო წლებში ერთ-ერთ მწვავე საკითხად რჩება ე.წ. სწრაფი სესხების გაცემის მიზანშეწონილობა, რომლის გაცემაც ონლაინ გზებით ხდება, ამ ტიპის სწრაფი სესხები დიდწილად სწორედ დაუდასტურებელი შემოსავლების პირობებში გაიცემოდა, ონლაინ გამსესხებელი კომპანიების მიერ. მართალია, დაწესებულმა შეზღუდვებმა მათი ბაზრიდან გასვლა გამოიწვია, მაგრამ ეს სეგმენტი ახლა უკვე ბანკების მიერ იქნა ჩანაცვლებული და სესხის გაცემა ხდება საკმაოდ მაღალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გარკვეული ცვლილებები ნამდვილად საჭიროა მათთვის ვისაც ბანკებში აქვთ მიმდინარე ან სახელფასო ანგარიშები გახსნილი, ამ სახის კლიენტურაზე სწრაფი სესხების გაცემა კვლავ გრძელდება, ოღონდ არა იმ პირობით, რასაც ონლაინ სესხების გამცემი კომპანიები ახორციელებდნენ, როდესაც ხდებოდა სესხის დამტკიცება რამდენიმე წუთში, დადასტურებული შემოსავლის წარდგენის გარეშე, საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. მართალია, მაღალი საპროცენტო განაკვეთებიც დიდწილად მაღალი რისკებითაც არის გამოწვეული, თუმცა ჩვენ გვახსოვს წლიური 300%-იანი და მეტი საპროცენტო სარგებელი, რომლებიც წლიურ 700%-მდეც კი ადიოდა და ეს ჩვეულებრივ მოვლენა წარმოადგენდა.

საფინანსო სეგმენტში მიმდინარე რეფორმა, პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. გასულ წელს, რეფორმის პირველ ეტაპზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზღვრის დადგენა, ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 50%-ის ოდენობით, ხოლო დარიცხული და გადასახდელი პროცენტი, საკომისიო და ჯარიმა ჯამურად სესხის ნარჩენი ძირის 100%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ახალი ნორმების შემოღების შედეგად ონლაინ გამსესხებელი კომპანიების დიდი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბაზარი, (სხვადასხვა მონაცემებით, მათი რაოდენობა 75-ს აღემატებოდა), ხოლო ზოგიერთი მათგანი კი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდა. მიუხედავად ამისა პრობლემა სრულად არ გადაჭრილა. ბაზარზე კვლავ ვხვდებით კომპანიების ნაწილს, რომლებიც წარმოდგენილები არიან, ლომბარდებისა და ფიზიკური პირების ე.წ. კერძო იპოთეკარების სახით და ისინი რეგულაციების გარეთ არიან დარჩენილები.

დიდი ალბათობით რეფორმის მეორე ეტაპზე ეს პრობლემაც მოიხსნება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, ათასამდე ლომბარდი და 100-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ასევე კერძო იპოთეკარები ძალიან ბევრია. მათი ნაწილი ბაზარს დატოვებს, რაც გარკვეულწილად დადებითად აისახება, თუმცა ასევე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ფაქტი დასაქმების ხარისხზე და უმუშევრობის მაჩვენებლის გაზრდაზეც იქონიებს გავლენას.

ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების თანახმად, მსესხებლის ყოველთვიურ წმინდა შემოსავლებს და გადასახდელებს შორის სხვაობა უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს, ამასთან იზღუდება ისეთი სესხის გაცემა, როდესაც მსესხებელი იხდის მხოლოდ დარიცხულ პროცენტს, ხოლო ძირს ან ძირის მნიშვნელოვან ნაწილს (ნახევარზე მეტს) ვადის ბოლოს. ძირის გადახდა სასურველია ხდებოდეს მსესხებლის შემოსავლებზე მორგებული გონივრულად შედგენილი გრაფიკის მიხედვით, რაც დამახასიათებელია ევროპის ქვეყნებისათვის და დღეს ნაკლებად არის ქართულ საბანკო პრაქტიკაში მიღებული. ზოგიერთი ბანკი, მოსახლეობას სთავაზობს ისეთი სახის სესხებს, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი ორჯერ ან მეტჯერ აღემატება ძირ თანხას, ამავდროულად ყოველთვიურად მსესხებელს უწევს მხოლოდ პროცენტის დაფარვა და გრაფიკით გათვალისწინებულ ბოლო თვეში კი ძირი თანხის და პლიუს პროცენტის ერთიანად გადახდა, რაც მსესხებელს უბიძგებს კიდევ ერთი ვალის აღებისკენ, ვინაიდან იშვიათია შემთხვევა, რომ გარკვეული თანხა ერთიანად ჰქონდეს მომხმარებელს და დაფაროს და არ მოუწიოს ისევ სხვა ვალის აღება.

შემოდის კიდევ ერთი სიახლე, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს არ გააჩნია რაიმე სახის ყოველთვიური ფიქსირებული შემოსავალი და შეუძლებელია მისი გადახდისუნარიანობის დეტალური ანალიზი და მსესხებელი უზრუნველყოფად

დებს რაიმე სახის უძრავ ქონებას, ამ შემთხვევაში მან უნდა დაადასტუროს, რომ აღნიშნული ქონება მისთვის ერთადერთ საცხოვრებელ სახლს არ წარმოადგენს და ამავდროულად უკვე გამოყენებული არ არის სხვა სესხის უზრუნველყოფად. სესხის გამცემი ორგანიზაციების დიდი ნაწილი განსაკუთრებით მეწარმე ფიზიკურ პირებზე, სესხის გაცემისთვის დამატებით უზრუნველყოფად ითხოვდა მსესხებლის საკუთრებაში არსებულ ერთადერთ საცხოვრებელ სახლს. იმის გამო, რომ დაწესებული პროცენტი ძალიან მაღალი იყო და ხშირი იყო ვადაგადაცილების შემთხვევები, იზრდებოდა უძრავი ქონების დაკარგვის საფრთხეები და მსესხებელი დიდი წნეხის ქვეშ ექცეოდა, ბოლოს კი ძირითად შემთხვევაში საკუთრებაზე უფლების დაკარგვით ამთავრებდა.

დღეს მოქმედი რეგულაციით სამომხმარებლო სესხებზე არსებობს ლიმიტი, და იგი საკრედიტო პორტფელის 50%-ზე მეტი არ უნდა იყოს. საერთაშორისო საბანკო გამოცდილება, გაცილებით უფრო ეფექტურ ალტერნატიულ ფორმებსაც იცნობს, თუნდაც კაპიტალთან მიმართებაში, რაც კაპიტალის რისკის შემცირებას ემსახურება.

ჭარბვალიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება ის, რომ ფიზიკურ პირებზე სესხების უდიდესი ნაწილი, ძირითადად შემოსავლის წყაროს შესწავლის გარეშე გაიცემოდა. საფინანსო სისტემის პრობლემას წარმოადგენს ნეგატიური კლიენტების რაოდენობის სიმრავლე. ექსპერტები მიუთითებენ, რომ ჭარბვალიანობის პრობლემა დგას არა მხოლოდ იმ მსესხებელთა ნაწილში, რომლებსაც არა აქვთ დადასტურებული შემოსავალი, არამედ დადასტურებული შემოსავლების შემთხვევაშიც, რადგან მოსახლეობის შემოსავლების დიდი ნაწილი სწორედ საბანკო ვალების დაფარვას ხმარდება.

ექსპერტების მონაცემებით ნეგატიური კლიენტების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი არა პოტენციურ პრობლემად იქცეს, არა მხოლოდ საბანკო სექტორისათვის, არამედ ზოგადად ფინანსური სტაბილურობისათვის. ჭარბვალიანობის პრობლემა თავს იჩენს, მაშინ როდესაც მსესხებელთა და მათი საოჯახო მეურნეობის არსებულ შემოსავალსა და ყოველთვიურ გადასახდელებს შორის სხვაობა არ არის საკმარისი ოჯახის წევრების ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუ ჭარბვალიანობა არის ერთის მხრივ

სოციალურ რისკების შემცველი, როდესაც წმინდა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგჯერ 75%-იც კი სესხების მომსახურებაზე მიდის, ეკონომიკისათვის ეს წარმოადგენს სისტემურ რისკს. იგი ერთის მხრივ, ნეგატიურად აისახება ბანკების საკრედიტო პორტფელში ვადაგადაცილებული სესხების სახით, და მეორეს მხრივ, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, ვინაიდან აღარ რჩება თავისუფალი სახსრები სამომხმარებლო საქონლის შესაძენად და დანაზოგების გასაკეთებლად. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა, რომ ჭარბვალიანობის უარყოფითი ზემოქმედების მაჩვენებელი ეკონომიკის ზრდაზე - 0.8%-ს აღწევს.²¹

წლის მეორე ნახევრიდან ძალაში შედის, მთავრობის ახალი ინიციატივები, მათ შორის საგადასახადო ნაწილშიც. ეს ძალზე ნოვატორული მიდგომები უზრუნველყოფს, საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობის გამარტივებას და რაც მთავარია, მნიშვნელოვნად შეამცირებს მცირე ბიზნესის სეგმენტზე არსებული საგადასახადო ტვირთსაც.

ახალი რეგულაციით იმისათვის, რომ ყოველთვიური შემოსავალი ჩაითვალოს დადასტურებულად, მსესხებელმა ფიზიკურმა პირმა სესხის გამცემ ორგანიზაციას უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ. სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან და სხვა). შემოსავლების ლეგალიზაციით მიკრო და მცირე ბიზნესში დასაქმებულ პირებს უჩნდებათ შესაძლებლობა, გადავიდნენ ლეგალური ბრუნვის სეგმენტში, რაც შემოსავლების დეკლარირებასთან ერთად, მათ მისცემს შესაძლებლობას გაზარდონ თავიანთი საკრედიტო რეიტინგი, ხოლო კომერციულ ბანკებს გაუადვილებს კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასებას. შედეგად, მათთვის ჩნდება არსებულთან შედარებით უფრო დიდი მოცულობის და გრძელვადიანი კრედიტის აღების შესაძლებლობა, პირველ რიგში ბიზნეს საქმიანობის საწარმოებლად, რაც რისკების შემცირებასთან ერთად, ასევე დადებითად აისახა საპროცენტო განაკვეთებზე, მათი შემცირების მიმართულებით უკვე დადგინდა

²¹ ჩიტიშვილი ნ, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, თბ., სამართლის ჟურნალი, 2012.

წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დადგენილი ზედა ზღვარი რომელიც 100%-დან 50%-მდე დაიწიდა და არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს ზედა ზღვრის კიდევ უფრო დაწევა.

გამომდინარე აქედან, მიკრო და მცირე ბიზნესის ლეგალურ ბიზნესში გადასვლა კარგია, როგორც ეკონომიკისათვის საგადასახადო შემოსავლების ზრდისა და არალეგალური ბიზნესის ხვედრითი წილის შემცირებისთვის, ასევე წაადგება თვითდასაქმებულ პირებსაც და მათ გაუზრდის საკრედიტო რესურსებზე წვდომის შანსს. ყოველივე ეს კი საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ეკონომიკის ზრდაზე.

ახალი მოთხოვნების საფუძველზე, აუცილებელი ხდება სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიღებამდე, სესხის გამცემმა ნებისმიერმა ორგანიზაციამ სესხის გაცემამდე, მსესხებლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიძიოს, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე, როგორც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში ან მოითხოვოს ცნობა შემოსავლების შესახებ შემოსავლების სამსახურიდან და სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს აღნიშნული ინფორმაცია. რაც გულისხმობს მსესხებლის არა მხოლოდ ხარჯებისა და ვალდებულებების, არამედ, პირველ რიგში, შემოსავლების დეტალურ ანალიზსაც. ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ასევე სხვა არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებს, ექნებათ შემოსავლების სამსახურის ბაზებზე წვდომის გამარტივება, შემოსავლების სამსახური კლიენტის თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სესხის გამცემებისათვის კლიენტის შესახებ დაცული მონაცემების მიწოდებას.

ნიშანდობლივია, რომ სავალდებულო მოთხოვნის სახით შემოდის სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI კოეფიციენტი) მოთხოვნა, ²²(სესხის მომსახურების კოეფიციენტით (PTI) დგინდება სესხის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის მაქსიმალური ზღვარი, რომელიც განისაზღვრება მსესხებლის განკარგადი შემოსავლის პროპორციულად), ყველა სახის სესხისათვის, რაც არის საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა ბანკებისთვისაც კი და წარმოადგენს მსესხებლის ან

²² საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდიდან განმარტება, PTI და LTV მოთხოვნების შესახებ.

თანამსესხებლის ჯამური ყოველთვიური გადასახდელებისა და ყოველთვიური წმინდა შემოსავლების თანაფარდობას. სესხის მომსახურება/შემოსავალთან ლიმიტების დაცვის მოთხოვნა, რომელიც გასულ წელს შემოვიდა ძალაში, აქამდე ეხებოდა მხოლოდ იპოთეკურ სესხებს და მისი დაცვა ბანკებისათვის სხვა საცალო პროდუქტებზე სავალდებულო არ იყო, არამედ ეს უკანასკნელი, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა.

ჭარბვალთანობის რისკის შემცირების რეკომენდაციები მოცემულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის გასული წლების ანგარიშში და მას ემხრობა ადგილობრივი ექსპერტების ძირითადი ნაწილიც. მაგალითისათვის, თუ ყოველთვიური წმინდა შემოსავლები 500-1000 ლარის ფარგლებშია, სესხის მომსახურების კოეფიციენტი 20%, ხოლო 1000 და 2000 ლარამდე - 30%, 2000-4000 ლარამდე 35% იქნება, მაქსიმალური ზღვარი გაცილებით მაღალი ხელფასებისას 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ახალი მოთხოვნები სავალდებულო იქნება ყველა საკრედიტო დაწესებულებისათვის, თუმცა არ გავრცელდება არსებულ სასესხო ნაშთებზე, ასევე მათ რეფინანსირება-რესტრუქტურირებაზე, მათ შორის თუკი რეფინანსირება ან რესტრუქტურირება ხორციელდება სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ და არ ხდება სასესხო ვალდებულებების შინაარსობრივი ზრდა.

და ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი რეგულაციების შემოღებით ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ არსებული ბიზნეს მოდელების სახეცვლილება. მეორეს მხრივ, იმისათვის რომ ბანკები დაკრედიტების ამ ფორმაზე გადავიდნენ, საჭიროა დრო ბიზნესით დაკავებულ ფიზიკურ პირთა რეგისტრაციისათვის, რადგან იმისათვის, რომ შემოსავალი გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის მიზნებისათვის ჩაითვალოს დადასტურებულად, როგორც აღვნიშნეთ, კლიენტმა სესხის გამცემ ინსტიტუტში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები (სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან). თუ ჩვენ თვითდასაქმებულთა კატეგორიაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებსაც მოვიაზრებთ, მათი რიცხვი 120 ათასიდან 500-800 ათას ადამიანამდეც კი შეიძლება ავიდეს.

საბანკო სექტორი რა თქმა უნდა დაინტერესებულია იმით, რომ მოხდეს საკრედიტო რისკების შემცირება, რაც მას საშუალებას მისცემს კიდევ უფრო გაზარდოს საკრედიტო პორტფელი, პირველ რიგში ბიზნესის დაკრედიტების კუთხით. ახალ ნორმათა შემოღება და მათი მთელ საკრედიტო სპექტრზე გავრცელება მნიშვნელოვნად შეამცირებს ჭარბვალთანობით გამოწვეულ პრობლემებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგან ჭარბვალთანობის პრობლემის აღმოფხვრის ძირითადი გზა სწორედ სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებშია მდგომარეობს.

3.2 სესხის ხელშეკრულების არსებული მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-628-ე მუხლები არეგულირებს ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთების სესხის სახით გადაცემის ურთიერთობებს. ეს ნორმები წარმოადგენს სასესხო ურთიერთობების მომწესრიგებელ ზოგად ნორმებს.

623-ე მუხლი განსაზღვრავს სესხის დეფინიციას. საკრედიტო დაწესებულებების მიერ ფულადი თანხების სესხის სახით გადაცემის საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 867-873 მუხლებით (საბანკო კრედიტი).

სამომხმარებლო კრედიტის სამართლებრივი ბუნება განსაზღვრულია 370-ე მუხლში. სესხის მარეგულირებელი ნორმები, როგორც ზოგადი ნორმები, გამოიყენება საბანკო კრედიტის, ასევე სამომხმარებლო კრედიტის დროს.

„სესხის ხელშეკრულების საგანი არის ფული ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული სხვა ნივთები, ანუ ე.წ. შეცვლადი ნივთები. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულად ითვლება ისეთი ნივთები, რომელთა რაოდენობა გამოიხატება ზომით, წონით, მოცულობით (მაგალითად, 1 ტ. ფქვილი, 100 ლიტრი რძე, ხუთი

კუბური მეტრი შეშა და ა. შ.”²³

„პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ვხვდებით ფულის სესხების ურთიერთობებს. ეს მსესხებელს არ ავალდებულებს, გამსესხებელს დაუბრუნოს ზუსტად მისთვის გადაცემული კონკრეტული კუპონები და მონეტები, არამედ მსესხებელმა გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა, ანუ გასესხებულ თანხაში იგულისხმება მისი ოდენობა და არა განსაზღვრული ფულადი ნიშნები. სესხის სახით მსესხებელს შეიძლება გადაეცეს როგორც ნაღდი ფული, ისე უნაღდო (მსესხებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით). ნასესხები გვაროვნული ნივთებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მათი მოხმარების გზით. სწორედ ამიტომ, მსესხებელმა უნდა დააბრუნოს იმავე სახისა და ხარისხის ნივთები და არა - როგორც ეს ქირავნობისა თუ თხოვების შემთხვევებშია იგივე ნივთი, რომელიც მიიღო, ანუ არ შეიძლება სესხის საგანი იყოს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული - შეუცვლადი ნივთები. სესხად შეიძლება გაიცეს მხოლოდ შეცვლადი ნივთი, რადგან იგულისხმება, რომ მსესხებელმა იგი უნდა მოიხმაროს. სესხის საგნის თავისებურება— მოხმარებადობა განაპირობებს მსესხებლის უფლებამოსილებას განკარგოს ნასესხები გვაროვნული ნივთები. იმისათვის, რომ მსესხებელს ჰქონდეს ასეთი უფლებამოსილება, იგი უნდა გახდეს ამ ნივთების მესაკუთრე. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელს ფული და სხვა გვაროვნული ნივთები გადაეცემა საკუთრებაში. ის გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულების მიზანია სესხის საგნით დროებით სარგებლობა მათი დაბრუნების ვალდებულებით, არ ცვლის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას. სესხის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა განსაზღვრავს სესხის ხელშეკრულების ერთ თავისებურებას - სესხის ხელშეკრულებით გადაცემას ექვემდებარება ის ნივთები, რომელზედაც საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია ყოველგვარი ფორმლობის დაცვის გარეშე და მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა საკმარისია საკუთრების უფლების წარმოშობისათვის.”

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-628 მუხლები ეხება და არ მიჯნავს როგორც ფულის, ასევე გვაროვნული ნივთების სასესხო ურთიერთობებს .

²³ ძლიერიშვილი ზ, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 347

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებებიდან გამომდინარე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ამჟამინდელი რედაქციით უკვე დამოუკიდებლად არის რეგლამენტირებული ისინი.

ფულის სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა შეთანხმებული ოდენობით. მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს ნაკისრი პროცენტი და ვადამოსულობისას დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა, ამდენად, ფულის სესხი განიხილება ორმხრივ მავალდებულებელ ხელშეკრულებად. ეს არის კონსენსუალური შეთანხმება. გადალახულია ის მოსაზრება, რომელიც სესხის ხელშეკრულების დადებას უკავშირებდა გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის ფულის გადაცემას (უარყოფილია რეალური ხელშეკრულების თეორია), შესაბამისად, სინალაგმატური ბუნებიდან გამომდინარე, გამსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა გადასცეს მსესხებელს საკუთრებაში ფულადი თანხის შეთანხმებული ოდენობა. მსესხებლის ძირითადი ვალდებულებაა დააბრუნოს ნასესხები თანხა შესაბამის ვალუტაში, სასყიდლიანი კონსტრუქციის დროს კი ძირითადი ვალდებულებაა ასევე პროცენტის გადახდა. ნივთის სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადასცეს შეთანხმებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს სესხის საზღაური და სესხის გადახდის ვადის დადგომისას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ნივთების სესხად გადაცემის ნორმები არ გამოიყენება ფულის გადაცემის მიმართ.²⁴

სასესხო ურთიერთობები ნივთებთან დაკავშირებით სამოქალაქო ბრუნვაში გვხვდება იშვიათად და კიდევ უფრო იშვიათია ამ საკითხზე სამართლებრივი დავები. რეალურ ხელშეკრულებას აღარ წარმოადგენს ნივთების სესხება და იგი მოცემულია კონსენსუალური სახით. კრიტერიუმების მიხედვით არსებობს ორი ტიპის კატეგორია, ცალმხრივი და ორმხრივი (ორმხრივ მავალდებულებელი ანუ სინალაგმატური) კონსტრუქცია.

და ბოლოს დასკვნის სახით სესხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

²⁴ თამარ ზამბიძე, სამეცნიერო სტატია, სესხის ხელშეკრულების ცნების შესახებ (სსკ 623-ე მუხლი), თბილისი 2016 წელი, 26 ოქტომბერი.

მიხედვით უნდა შეფასდეს ცალმხრივ ხელშეკრულებად, როდესაც ერთ მხარეს აქვს მხოლოდ უფლება, ხოლო მეორეს კი - მოვალეობა. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემული ნივთების დაბრუნება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.²⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად სესხი რეალური ხელშეკრულებაა: გამსესხებლის მიერ მსესხებელზე ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის გადაცემა საკუთრებაში წარმოადგენს არა გამსესხებლის სახელშეკრულებო ვალდებულებას, არამედ ხელშეკრულების დადებულად მიჩნევის წინაპირობას. გამსესხებელს უფლება აქვს გასცეს ან არ გასცეს სესხი.²⁶

3.3 საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედგება 184 წევრი სახელმწიფოსგან (მათ შორის საქართველოც შედის), შეიქმნა საერთაშორისო მონეტარული თანამშრომლობის, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წევრი ქვეყნებისთვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევა საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF – INTERNATIONAL MONETARY FUND) ძირითადად კონცენტრირებულია წევრი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მოიცავს ერთობლივ დანახარჯებს, შემოსავალს, დასაქმების დონეს, ინფლაციის დონესა და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს. IMF ყურადღებას ამახვილებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ასპექტებზე: საბიუჯეტო

²⁵ სსკ - 623-ე მუხლი. თბილისი, 1997 წ.

²⁶ თამარ ზამბახიძე, სამეცნიერო სტატია, სესხის ხელშეკრულების ცნების შესახებ, თავი III გვ-6, თბილისი 2016 წელი, 26 ოქტომბერი.

პოლიტიკა -სარგებლის განაკვეთთან დაკავშირებული ღონისძიებები; ფულადი-საკრედიტო პოლიტიკა - გაცვლითი კურსის დონე და ფინანსურ სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებები; ასევე, როგორცაა ბანკების რეგულირება, ზედამხედველობა და სხვა.²⁷

IMF-ი აგრეთვე ყურადღებას აქცევს სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შრომის ბაზართან დაკავშირებულ ღონისძიებებს. სსფ თითოეულ წევრს აძლევს რჩევას, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ არჩეული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესება, რათა უფრო ეფექტიანად იქნეს მიღწეული ისეთი მიზნები, როგორცაა დასაქმების მაღალი დონე, დაბალი ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა. თავისი არსით, IMF-ი არ არის ბანკი რომელიც გასცემს გრძელვადიან კრედიტებს, არამედ მას გააჩნია სავალუტო სახსრები, რომელიც წევრმა ქვეყნებმა შეიძლება ისესხონ, რათა მოახდინონ საკუთარი სავალუტო ერთეულის სწრაფი სტაბილიზაცია. IMF-ს ყველა სესხი უნდა დაიფაროს 5 წლის განმავლობაში. IMF-ის მიზნები შემდეგია: ხელი შეუწყოს საერთაშორისო მონეტარულ კოოპერაციას მუდმივი ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც გასცემენ კონსულტაციებს და თანამშრომლობენ საერთაშორისო მონეტარულ პრობლემებზე. ხელი შეუწყოს გაცვლითი კურსის სტაბილურობას, გაცვლით კურსზე შეთანხმების მიღწევას და არ დაუშვას კონკურენტული გაცვლითი კურსის არსებობა წევრ ქვეყნებს შორის. ხელი შეუწყოს გადახდის მულტილატერალური (მრავალმხრივი) სისტემის დანერგვას. მოიპოვოს წევრი ქვეყნების ნდობა, რათა მიიღოს ფონდის ძირითადი რესურსები, რომლის გამოყენების უფლებაც შეიძლება დროებით გადაეცეს წევრ ქვეყნებს, გარკვეული გარანტიის სანაცვლოდ, რათა მათ გამოასწორონ საგადამხდელო ბალანსი იმ ღონისძიების გაუტარებლად, რაც შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს მათი ეკონომიკისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეამციროს წევრი ქვეყნების საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის უთანასწორობის ხარისხი. ფონდი თავისი ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, ვალდებულია იხელმძღვანელოს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებით.

²⁷ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან“, ავტორები: ეკა კველიშვილი, ნათია ალექსანდირა, ნოდარ მუშკუდიანი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გვ-20. თბილისი 2005 წელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს 2018 წლის კონსულტაცია საქართველოსთან, შეთანხმების მეოთხე მუხლის მიხედვით: სავალუტო ფონდმა მხარი დაუჭირა საქართველოში გამჭვირვალობის ზრდის ტენდენციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს და რისკების მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას.

დირექტორებმა მხარი დაუჭირეს ფისკალური წესების დახვეწას, ფისკალური მართვისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას. მათ მიაჩნიათ, რომ მონეტარული პოლიტიკა მართებულად არის მიმართული ფასების სტაბილურობაზე, მოქნილი გაცვლითი კურსის პირობებში, სადაც სავალუტო ბაზარზე ჩარევა მხოლოდ ზედმეტი რყევების შესასუსტებლად და რეზერვების დასაგროვებლად ხდება. ასევე, მხარი დაუჭირეს ინფლაციის ტარგეტირების ჩარჩოს გაძლიერებას ლიკვიდურობის მართვის და კომუნიკაციის გაძლიერების გზით.

დირექტორებმა მოიწონეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები ფინანსური ზედამხედველობისა და რეგულირების ჩარჩოს დახვეწის მიმართულებით, მათ შორის ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP – Financial Sector Assessment Program) რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საქართველოში არსებული ჭარბვალუანობასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, მათ მხარი დაუჭირეს მოსახლეობისთვის კრედიტის შეზღუდვის ღონისძიებებს პრუდენციული ფინანსური პოლიტიკის გზით. დირექტორები მიესალმებიან ეკონომიკის თანდათანობით დედოლარიზაციას, რაც მონეტარული პოლიტიკის მიმართ რწმენის ზრდის განმაპირობებელია და მიუთითებს, რომ ინფლაციის მოლოდინი სწორად არის მართული. ასევე აღნიშნეს, რომ კრიზისის პირობებში მართვის ჩარჩო უნდა მიესადაგებოდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას; სტრუქტურული მართვის გზები უნდა დაიხვეწოს, მათ შორის, ლიკვიდურობის მიწოდების და ბანკების რეზოლუციის პროცედურები. აგრეთვე მათ მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას არსებული ეკონომიკური აღმასვლის ფონზე გაატარონ რეფორმები, რომელიც გაზრდის საქართველოს მზადყოფნას საერთაშორისო

შოკების მიმართ, ასევე დააჩქარებს ზრდას და გახდის მას მეტად ინკლუზიურს, რომლის მამოძრავებელი კერძო სექტორი იქნება. ამ კონტექსტში მათ ყურადღება გაამახვილეს ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, განათლების, ჯანდაცვის ბაზრის რეფორმაზე, და კონკურენტუნარიანობის მატებაზე. დირექტორები მიესალმნენ საქართველოს ძალისხმევას ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიცირების კუთხით, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის გზით. აგრეთვე, მათ აღნიშნეს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმართვა ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორებში აუცილებელია კონკურენტუნარიანობის და ზრდის წასახალისებლად.

3.4 საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში

ფინანსური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. ამდენად, ფინანსური სტაბილურობა და მისი ანალიზი ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ინსტიტუტებისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებითა და "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონით. ამ კანონის თანახმად ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული

შემთხვევებისა.²⁸

ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებებზე. საქართველოს სახელმწიფო პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, სახელმწიფო გადასახდელის, მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან.²⁹

საქართველოში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. შესაბამისი რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი შეიმუშავებს საპასუხო პოლიტიკას ამ რისკების შემცირებისთვის. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ფინანსური სექტორის გამჭვირვალობას და მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას.³⁰

ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური სისტემის მიერ ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. ამისათვის საჭიროა ფინანსური შუამავლობის და საბაზრო ინფრასტრუქტურის (საგადახდო სისტემების) ეფექტიანი ფუნქციონირება, ფინანსური სისტემის მდგრადობა შოკების მიმართ და სისტემური რისკების შემცირება. ფინანსური სტაბილურობა ასევე გულისხმობს ფინანსური სექტორის განვითარებას და ფინანსური ბაზრების გაღრმავებას. ეფექტიანი ფინანსური შუამავლობის პირობებში, დეპოზიტების მოზიდვა და სესხების გაცემა სისტემური შეფერხების გარეშე ხორციელდება. ასევე, ოპტიმალურია ფინანსური რისკების შეფასება, ფასში ასახვა და გადანაწილება, ხოლო რეგულირების ტვირთი არ აღემატება რისკების

²⁸ საქ. ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 4 - ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, 2009

²⁹ საქ. ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, 2009

³⁰ საქ. ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, მუხლი 3 - ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები. 2009

მატერიალიზაციის შემთხვევაში გაწეულ ეკონომიკურ და სოციალურ დანახარჯს. ფინანსური სისტემის მდგრადობა გულისხმობს, რომ ფინანსური სისტემა უნდა ინარჩუნებდეს ეფექტიანობას შოკისა და სტრესის პირობებში. თუმცა, მდგრადი ფინანსური სისტემა არ გამორიცხავს ფინანსურ სირთულეებს რომელიმე ცალკე აღებულ ინსტიტუტში.

საქართველოს ეროვნული ბანკი შეისწავლის საფინანსო სისტემის სისტემურ რისკებს. იგი მიზნად ისახავს ქვეყნის მაკროეკონომიკურ და საფინანსო სისტემაში არსებული თუ მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს რეზიდენტი და არარეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტებისა და საფინანსო სისტემით დაინტერესებული საზოგადოების საქმიანობის ეფექტიან წარმართვას და პროგნოზირებას საშუალო ვადიანი პერიოდისათვის.

ეროვნული ბანკი, 2009 წლის დეკემბრიდან, ასევე პასუხისმგებელია საფინანსო ბაზრის ცალკეული მონაწილეების ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. 2012 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების პროექტში, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას და განსაკუთრებით ფინანსური სექტორით დაინტერესებულ ყველა საქმიან ადამიანს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. 21-ე საუკუნის ფინანსურმა კრიზისმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების შესახებ პროექტის წამოწყებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი მოამზადა. მანამდე არსებული სტატისტიკური ინფორმაცია ფინანსური სისტემის მდგომარეობის ეფექტიანი შეფასების საშუალებას არ იძლეოდა.

და ბოლოს დასკვნის სახით საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის განსაზღვრული ძირითადი ამოცანებითა და ფუნქციებით, რომელთა მიხედვითაც ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი მიზნის შესრულებას.

სასამართლო პრაქტიკა

საქმე №ას-234-226-2013

1 მაისი, 2013 წელი

ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა:

ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ვასილ როინიშვილი, პაატა ქათამაძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – ა. ო-ა (მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორები – ა. ო-ა, ნ. და მ. ნ-ები (მოპასუხეები)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინება

მოწინააღმდეგე მხარე – შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თბილმიკროკრედიტი“ (მოსარჩელე, შეგებებულ სარჩელში – მოპასუხე)

კერძო საჩივრების ავტორთა მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება

დავის საგანი – ვალდებულების შესრულება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ო-ას, მ., ნ. და ნ. ნ-ებისა და ბ. ჟ-ის მიმართ ბ. ჟ-ისათვის 58951.2 აშშ დოლარის (სესხის ძირითადი თანხის – 33000 აშშ დოლარის, ხოლო სარგებლის – 6600 აშშ დოლარის), პირგასამტეხლოს – ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებიდან, 2009 წლის 30 აპრილიდან სარჩელის აღძვრის დღემდე, 2011 წლის 13 მაისამდე – 19351.20 აშშ დოლარისა და სარჩელის აღძვრის დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 39600 აშშ დოლარის წლიური 24 %-ის ანაზღაურების, ასევე იპოთეკით დატვირთული მოპასუხეების უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, ხოლო ა. ო-ამ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ-სა“ და ბ. ჟ-ის მიმართ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბ. ჟ-ს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 58 951.2 აშშ დოლარის გადახდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე, ა. ო-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 30 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება იმ ნაწილში, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა ა. ო-ას, მ., ნ. და ნ. ნ-ების კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე 79.22 კვ.მ უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №....

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ა. ო-ას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და შპს მ. „თ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, შპს მ. „თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ჟ-ისათვის დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით, დადგინდა ა. ო-ას, მ., ნ. და ნ. ნ-ების კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა N25-ში მდებარე 79,22 კვ.მ-ის რეალიზაცია საკადასტრო კოდით ..., ასევე გაუქმდა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით სააპელაციო პალატის ზემოხსენებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხოლო ა. ო-ას უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ-მა“ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტებსა და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებლო ფურცელში უსწორობის გასწორება – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების ნაცვლად, 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების მითითება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ-ის“ განცხადება დაკმაყოფილდა, შესწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტებსა და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებლო ფურცელში დაშვებული შეცდომა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „დაკმაყოფილდეს შპს მ. „თ-ის“ სარჩელი და თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით ბ. ჟ-ისათვის დაკისრებული თანხების გადახდევინების მიზნით დადგინდა ა. ო-ას, მ. ნ-ის, ნ. ნ-ისა და ნ. ნ-ის კუთვნილი შემდეგი უძრავი ქონების რეალიზაცია: 79,22 კვ.მ ფართი მდებარე თბილისში, ბ-ის ქუჩა N25-ში, საკადასტრო კოდი ...; გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი, რომლითაც გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.“

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და გაიზიარა განმცხადებლის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების ნაცვლად, არასწორად მიეთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, რაც უნდა გასწორდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ო-ამ, ნ., ნ. და მ. ნ-ებმა შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების შეცვლით უსწორობა ან არითმეტიკული კი არ შეასწორა, არამედ დაინტერესებულ პირთა დასწრების გარეშე იმსჯელა საქმისათვის მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე და მიიღო ახალი შინაარსის გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე და 372-ე მუხლები. სასამართლო ვალდებული იყო, მოცემული საკითხი გადაეწყვიტა სხდომაზე და მოეწვია მხარეები.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ა. ო-ამ, ნ., ნ. და მ. ნ-ები წარმოადგენენ დაზარალებულებს. სისხლის სამართლის წესით მიმდინარე საქმეზე დადგენიდა, რომ ბ. ჟ-მა თაღლითურად მოატყუა ისინი და სადავო უძრავი ნივთი

იპოთეკით მათ ნებართვის გარეშე დატვირთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინებით გასწორდა ამავე სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები და ჩანაწერი – „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება“ შეიცვალა „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით“ შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2013 წლის 31 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, რის შედეგადაც 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების ნაცვლად, მითითებულ იქნა 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და საკუთარი ინიციატივით გაასწორა ზემოხსენებული შეცდომა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებულ განჩინებაზეც ა. ო-ამ, ნ., მ. და ნ. ნ-ებმა კვლავ შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება იმავე საფუძვლებით. მათ განმარტეს, რომ სასამართლომ განმეორებით განიხილა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი მხარეთა მიწვევის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 მარტის განჩინებით ნ., ნ. და მ. ნ-ების კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად. ამავე პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინებით კი, ნ. ნ-ის კერძო საჩივარი სააპელაციო პალატის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინებაზე დარჩა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ო-ას, ნ. და მ. ნ-ების კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრისა და 19 თებერვლის განჩინებები დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დასკვნა

სტატისტიკური მონაცემები სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების შესახებ ცხადყოფს თუ რაოდენ აქტუალურია ეს საკითხი დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში.

საქართველოში ფულის სესხება პრობლემას არ წარმოადგენს, ამასთანავე მრავლად არიან ვალის აღების მსურველებიც. ჭარბვალიანობის ერთ-ერთ მიზეზად საქართველოში კანონმდებლობის უცოდინრობა წარმოადგენს, განსაკუთრებით კი საზოგადოების მიერ, იმ ნორმების უგულებელყოფა, რომელიც სესხის ხელშეკრულების ფორმას ეხება.

ნაშრომში განხილულია როგორ ხდება სასესხო ურთიერთობების რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით და რა მოთხოვნებია სესხის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

ჭარბვალიანობა თავისთავად გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა ქვეყნების საფინანსო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების პერიოდული გადაწყვეტილებები მოწმობენ.

თემის მთავარი მიზანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმების მოწესრიგება სამართლიანობის პრინციპის დაცვით, მოვალის სამართლებრივი დაცვის დამატებითი მექანიზმების შექმნით რადგან ჭარბვალიანობა ძალიან სერიოზული და მტკივნეული პრობლემაა, რომელიც გადაზრდილია ისეთ მასშტაბში, რომლის აღმოფხვრას სჭირდება სისტემური მიდგომა და ერთობლივი ძალისხმევა.

ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხოთ სიღარიბე, სწორედ ჭარბვალიანობა გახდა სიღარიბის ერთ-ერთი წყარო. შესაბამისად, ჭარბვალიანობის ეფექტური კონტროლის და მისი შემცირების გარეშე შეუძლებელია სიღარიბესთან ეფექტური ბრძოლა.

ახალი რეგულაციების მიზანია, რომ საქართველოში ნაბიჯ-ნაბიჯ შემცირდეს ჭარბვალუანობის დონე და მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მაკროეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში გახდება გრძელვადიან პერიოდში უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი.

საზოგადოების გარკვეულ წრეებში და აგრეთვე შესაბამის ბიზნეს სექტორებში, არსებობდა მოლოდინი, რომ ახალი რეგულაციები გამოიწვევდა ერთი მხრივ დაკრედიტების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფერხებას. თუმცა, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით სრულიად საპირისპირო სურათი დაფიქსირდა. ერთი მხრივ არ შეფერხდა ეკონომიკური ზრდა და გაზრდილია საკრედიტო პორტფელი. რეგულაციებმა უარყოფითი ეფექტი არ გამოიწვია დაკრედიტების მაჩვენებლის ზრდაზე, პირიქით დადებითი როლი ითამაშა საფინანსო სექტორის გაჯანსაღების თვალსაზრისით. ეს კი გამოიხატება საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის ცვლილებაში, სადაც საფინანსო ორგანიზაციებმა ორიენტირი აიღეს ახალ-ახალი საკრედიტო პროდუქტების შეთავაზებაზე იურიდიული პირებისთვის, მათ შორის ფიზიკური პირებისთვისაც, ახალი ტიპის იპოთეკური სესხების შეთავაზებით.

რეგულაციების შედეგად, საბანკო სექტორმა გააცნობიერა, რომ საჭიროა ახალ ბიზნეს მოდელზე გადართვა, რაც მეტწილად ბიზნესისთვის მოქნილი პროდუქტების შეთავაზებაში გამოიხატება. ამ კატეგორიის სესხები პირდაპირ კორელაციაშია ეკონომიკურ ზრდასთან, ვინაიდან ის ასტიმულირებს წარმოების სექტორის განვითარებას. სეგმენტი, რომელმაც რეგულაციების ამოქმედების შემდეგ კლება განიცადა, არის მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხები, ძირითადად სწრაფი სესხები და განვადებები. ეს პროცესი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, ვინაიდან საჭირო გახდა შემოსავლების დადასტურება და მიუხედავად იმისა, რომ დაკრედიტება შემცირდა, რეალურად მოხდა მსესხებლებისა და საფინანსო ორგანიზაციების ცივილური ურთიერთობის ჩამოყალიბება, როცა საკრედიტო ორგანიზაცია სესხს გასცემს შემოსავლის დადასტურების საფუძველზე და არა უძრავი ქონების უზრუნველყოფით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოკლევადიანი და მაღალპროცენტიანი

სესხებით ეკონომიკაში დამატებითი ღირებულებები არ იქმნება, რეგულაციები კი სწორედ ამ კატეგორიის სესხებს შეეხო.

სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ჭარბვალთანობის პრობლემა კომპლექსურად უნდა მოგვარდეს, სახელმწიფომ სხვადასხვა ბერკეტები უნდა გამოიყენოს. სახელმწიფოში არსებული ჭარბვალთანობის პრობლემა ვერ გადაიჭრება თუ სესხის გამცემი იურიდიული პირები არ მოექცევიან ერთიანი ზედამხედველობის ქვეშ. აქვე უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ საკითხის მოგვარება სახელმწიფოს აქტიური თანადგომის გარეშე შეუძლებელია. ნაშრომში განსაკუთრებულ აქცენტი გავაკეთეთ სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მხარდაჭერაზე.

ახალი რეგულაციების შედეგად საქართველოში მომხმარებლების უფლებები ფინანსურ სექტორში დაცული იქნება, რადგან რაც მანამდე ხდებოდა, უფლებების დაცვას ვერ ვუწოდებთ. მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, რომელიც ჩვენ ქვეყანას აქვს სახელმწიფოს ამოცანაა, რომ ეკონომიკური ზრდა აისახოს მოსახლეობის ყველა ჯგუფზე.

ჭარბვალთანობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ბარიერი ცხოვრების დონის განვითარებაში, იმიტომ რომ, ჭარბვალთანობის შედეგად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილს ფიზიკურად არ აქვს საშუალება, რომ სრულფასოვნად იყოს ჩართული ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს სამეწარმეო პოტენციალს. ინკლუზიური ზრდა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური მდგრადი განვითარება, რა თქმა უნდა, დგას მცირე ბიზნესის განვითარებაზე, მცირე და საშუალო მეწარმეობის წახალისებაზე. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ჭარბვალთანობის პრობლემა რაც შეიძლება დროულად მოაგვაროს.

აღნიშნულ რეგულაციებს მხოლოდ დადებითი შედეგი არ მოჰყოლია და აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი უარყოფითი მხარეებიც. მაგალითად ძალაში შესულმა ახალმა ცვლილებებმა ბევრი მიკროსაფინანსო კომპანია მოაქცია მარწუხებში და აიძულა რომ დახურულიყვნენ, რის გამოც ასობით ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩა, ხოლო ქვეყანაში უმუშევრობის დონემ იმატა. გარდა ამისა, ბევრი მოქალაქისთვის დღემდე გაურკვეველია თუ რა მიზეზით ეუბნებიან

ბანკები სესხის გაცემაზე უარს, რადგან მათ არ ესმით სამართლებრივი და ეკონომიკური ტერმინები, ეს კი მათში სახელმწიფოსა და საფინანსო სექტორის მიმართ უნდობლობასა და გაღიზიანებას იწვევს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დახურვამ გამოიწვია მევალეების საკრედიტო ისტორიების გაფუჭება, რადგან მოვალეს, რომელსაც სესხის დაფარვა უწევდა ბანკში, შეეძლო ესარგებლა სწრაფი სესხით, რაც მისცემდა სხვა სესხის გადაფარვის საშუალებას კონკრეტულ თვეში, რითაც თავიდან აირიდება საკრედიტო ისტორიის გაფუჭებას.

უნდა გავიხსენოთ ასევე 2016 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენები, რომელიც საფინანსო ორგანიზაცია „საქართველოს“ გარშემო განვითარდა, აღნიშნული ორგანიზაცია მოსახლეობას პირდებოდა შეტანილ თანხაზე საკმაოდ დიდ, რეალობასთან შეუსაბამო საპროცენტო სარგებელს. მაგალითად ყოველთვიური სარგებელი 25%, ექვსი თვის ვადით წლიური - 30%, ერთი წლის ვადით წლიური 36%. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა მიითვისეს მოსახლეობის თანხა, რომელიც საბოლოო ოფიციალური მონაცემებით 76 მილიონ ლარს შეადგენდა. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას ზედამხედველობას არ უწევდა არცერთი ორგანო და მოსახლეობამ უსაფუძვლო ნდობა გამოუცხადა მას. 2018 წლის 5 აპრილს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაემატა 628-ე პრიმა მუხლი, რომლის თანახმად, მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს, 20-ზე მეტი პირისგან მოიზიდოს დაბრუნებადი ფულადი სახსრები, მხოლოდ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, დადგენილი წესით და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე განსაზღვრულია შესატანი თანხის მინიმალური ზღვარი, ანუ თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი პიროვნებისგან, მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100.000 ლარზე ნაკლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონი, 2017 წ.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების ნდობა ქვეყანაში“
3. საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ;
4. ახვლედიანი ზ, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999
5. დუნდუა ლ, ფულადი ვალდებულებების შესრულების დრო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, 2015
6. ზრანდია თ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი დ ავადები. თბ., კოლექტივი, ა. 2001 წ.
7. თამარ ზამბახიძე, სამეცნიერო სტატია, სესხის ხელშეკრულების ცნების შესახებ, თბილისი 2016 წელი, 26 ოქტომბერი.
8. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2001 წ.
9. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან“, ავტორები: ეკა კველიშვილი, ნათია ალექსანდირა, ნოდარ მუშკუდიანი, თბილისი 2005 წელი.
10. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2001 წ.
11. ლეგაშვილი დ, შეცვლილი გარემოებების გამოვლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. სამართლის ჟურნალი, 2001
12. ლობჯანიძე პ, ფულის კურსი ფულად ვალდებულებებში. ადამიანი და კონსტიტუცია, თბ., 2001
13. მესხიშვილი ქ, ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე. თბილისი 2018 წ.
14. ჩიტიშვილი ნ, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, თბ., სამართლის ჟურნალი, 2012
15. ძლიერიშვილი ზ, ვალდებულების შესრულება, თბ., 2006

16. ძლიერიშვილი ზ, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014
17. ძლიერიშვილი ზ, ფულადი ვალდებულების შესრულების თავისებურებანი. თბ., 2001
18. ძლიერიშვილი ზ, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010
19. ხელაია გ და კაკულია რ, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000
20. ჭანტურია ლ, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. 1, თბილისი 2009 წ.
21. ჭანტურია ლ, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. 2, თბილისი 2011 წ.
22. ჯავახიშვილი ნ, ფულის ისტორია, თბილისი 2001 წ.
23. Weller, Schuldrecht AT, chept. 9, 2012
24. Palandr, Burgerliches Gesetzbuch
22. Vardi, Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 2007,